წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

ტფილისი.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები
სარედ.—დღისა 14—76, სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე

ხუთშაბათი, 16 ივნისი 1921 წ.

№ 85 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 85

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი

აცხადებს შემდეგი ოთხი ძეგლის კონკურსს.

კონკურსის პირობები:

1. კონკურსი არის წინასწარი და არა ფარული.

2. ჟიური შესდგება რევოლიუციონური კომიტეტის წევრებისა და მოწვეული ხუთი პიროვნებისაგან.

3. კონკურსის საგანია:

ა. პროექტი—თავისუფალ საქართველოს ძეგლისა.

ბ. პროექტი—მარქსის ძეგლისა.

გ. პროექტი—პარიზის კომუნის ძეგლისა.

და დ. პროექტი—შოთა რუსთაველის ძეგლისა.

4. ძეგლების დასადგმელად განზრახულია შემდეგი ადგილები:

ა) თავისუფალ საქართველოს ძეგლისათვის—თავისუფლების მოედანი (ყოფილი ერევნის მოედანი),

ბ) მარქსის ძეგლისთვის—ვორონცოვის ყოფილი ძეგლის ადგილი,

გ) პარიზის კომუნის ძეგლისთვის—ალექსანდრეს ბაღი

დ) შოთა რუსთაველის ძეგლისთვის—რუსთაველის პროსპექტი (ყოფილი გოლოვინის პრ.).

5. პროექტის ავტორმა ნიშანდობლივ უნდა განსაზღვროს ძეგლის მდებარეობა ზემოაღნიშნულ ადგილებზე, ან თვით დაასახელოს სხვა შესაფერი ადგილები.

6. კონკურსის ყოველი მონაწილე მოვალეა წარმოადგინოს თვითეულ პროექტთან ერთად ძეგლის ორ-ორი ნახატი, ხოლო საერთოდ—ოთხივე პროექტისათვის—რვა ნახატი.

7. თვითეული პროექტის ნახატი უნდა იყოს ფერადიანი და ორი სახისა: ერთ ნახატზე ძეგლი უნდა იყოს ასახული პირდაპირ, მეორე ნახატზე ნახარის წვრივ. დართული უნდა ჰქონდეს მასშტაბი და გეგმა, სასურველია აგრეთვე საპერსპექტივო გამოსახულებაც.

8. თვითეულ პროექტს დართული უნდა ჰქონდეს განმარტებითი წერილი—ძეგლის იდეისა, მასალისა, ადგილმდებარეობისა და ზომის შესახებ.

9. ძეგლების პროექტები უნდა გამოხატავდეს არა მარტო ფიგურათა და ბიუსტთა ქანდაკებას, არამედ სასურველია აგრეთვე სახუროთმოძღვრო და დეკორატიული მხატვრობის შეთავსებაც.

10. ერთსა და იმავე ავტორის ყველა ნახატზე უნდა იყოს აღნიშნული ერთი და იგივე დევიზი; ესევე დევიზი უნდა აღინიშნოს განმარტებითი წერილზე (ის. მუხ. 8), აგრეთვე იმ დაბეჭდილ კონვერტზე, რომელშიაც იდება ბარათი ავტორის სახელითა და მისამართით.

11. პროექტების წარმოდგენისათვის ინიშნება ორი თვის ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. მისამართი—რევოლიუციონური კომიტეტის კანცელარია.

12. პრემია მიცემული პროექტები შეძენილი იქნება რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ხუთას ათას მან. თვითეული.

13. უპრემიო პროექტები რევოლიუციონურ კომიტეტს შეუძლიან შეიძინოს ავტორთან შეთანხმებით.

14. ყველა,—ვადაზე წარმოდგენილი,—პროექტი გამოფენილი იქნება საქართველოს ეროვნულ სასურათო გალერეის დარბაზში საყოველთაო ცნობისათვის. გამოფენის გახსნის შესახებ ცალკე იქნება პრესაში გამოცხადებული.

15. გამოფენის დამთავრების შემდეგ—მოხდება პრემიების მიკუთვნება, რის შემდეგი აგრეთვე გამოცხადებული იქნება.

16. რევოლიუციონური კომიტეტი იტოვებს თავისთვის უფლებას, გადასცეს პრემია მიცემული პროექტის ასრულება არა ავტორსაც, უკეთუ ეს საქმის ინტერესის აუცილებლობით იქნება გამოწვეული.

17. კონკურსის მონაწილენი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ოთხივე პროექტი.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი.

საბჭოთა საქართველოს შინაურ მტრებს

ჩვენს ყველა ნაციონალისტებს განურჩევლად მიმართულებისა სწამთ ერთიანი საქართველო, ერთი ეროვნული აზრითა და გრძნობით გამსჭვალული „ქართველი ხალხი“.

„მემარცხენე“ ფედერალისტებიც კი მუდამ იმის ცდაში არიან დაგვიმტკიცონ, რომ ეროვნული იდეა ეს საერთო რამეა ყველა ქართველისათვის, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის. აი ეს არის მთავარი მათი შეცდომა და აქედან გამომდინარე მთელი მათი კონცეპცია ისევ კოჭლობს, როგორც მთელი მათი პროგრამა და ტაქტიკა. ჩვენ კი გადაჭრით ვამბობთ, რომ საქართველოს ხალხი, თუ გინდ ერი, არასოდეს გარდა პირველყოფილ კომუნიზმის დროისა—არ ყოფილა ერთიანი, ერთი გრძნობისა და ერთი ინტერესების მატარებელი.

ძველი ფეოდალური საქართველო, რომელსაც ურიცხვი გარეშე მტერი ეხვია გარს, გმინავდა და იტანჯებოდა შინაური კლასობრივი სასტიკი წინააღმდეგობით და თუ ეს წინააღმდეგობა აშკარა აჯანყება—რევოლიუციაში არ გამოიხატა, ამის მიზეზი მხოლოთ საქართველოს ხალხის განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში უნდა ვეძიოთ და არა მის ერთიანობაში.

ესევე ითქმის ბურჟუაზიულ საქართველოზედაც, თუმცა მისი „დამოუკიდებლობა“—ერთიანობა რამდენიმეთ და რამდენჯერმე შერყეულ იქნა სახალხო მოძრაობით განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მენშევიკების ბატონობის ხანაში.

დღეს კვლავ ცოცხლობს საქართველო და კვლავ გაძლიერებული იბრძვის ქართველი ხალხი! მაგრამ ეს არის სრულიად ახალი საქართველო, ეს არის ნამდვილ, ჭეშმარიტ გაერთიანების გზაზე შემდგარი ქართველი ხალხი, რომელიც ეროვნულ ერთიანობას მხოლოთ მაშინ იგრძნობს, როცა ის კლასებათ დაყოფილი აღარ იქნება.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში, ამას „მემარცხენე“ ფედერალისტებიც აღიარებენ, მაშასადამე კლასები ჯერ ისევ ძალაში რჩებიან, თუმცა ისინი გაქრობის გზაზე არიან შემდგარნი. მაგრამ მანამ, ვიდრე ეს პროცესი არ დასრულებულა, ხალხის ერთიანობა, ერთი ეროვნული ფერით შეღებვა ნაადრევია და მეტი რომ არა ვთქვათ—უტოპიურია.

ხალხი სამწუხაროთ დღესაც „ჭრელია“ და მისი ეროვნული გრძნობაც ასევე სხვა და სხვა ფერისანი. ჩვენი ხალხის გულს მუშა და გლეხი შეადგენს და ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ ორ ელემენტს შორის ამ მხრით დიდი თანხმობაა. რაც შეეხება ვაჭარს, მღვდელს და ბერს, ამათი საქმე სულ სხვაა.

თითოეული მათგანის სამშობლო იქაა, სადაც გემრიელ ლუკმას და გამოსარჩენს იპოვის.

კარგახანია, რაც ჩვენს ცხოვრებაში კითხვაა წამოყენებული, თუ ვინ არის სამშობლოს მტერი და მოღალატე.

სამშობლოს ანუ სახელმწიფოს მტრათ და მოღალატეთ საზოგადოთ ის ირიცხება, ვინც მტერია და მოღალატე გაბატონებული კლასის ანუ კლასების.

ძველ საქართველოს ბატონობდა თავადაზნაურობა, შემდეგ მემამულეები და ბურჟუაზია და აი ყველა, ვინც კი ებრძოდა და ეწინააღმდეგებოდა ამ გაბატონებულ კლასებს, სამშობლოს და სახელმწიფოს მტრებათ იყვნენ გამოცხადებული.

მენშევიკები და მათთან ერთად ყველა ჩვენი ნაციონალისტები სამშობლოს მოღალატეთ სახავდენ ბოლშევიკებს.

მაგრამ დღეს, როცა საქართველო მუშების და გლეხების სახელმწიფოთ გადაიქცა, სწორეთ ამ ბოლშევიკების წინამძღოლობითა და ხელმძღვანელობით, სამშობლოს მოღალატეთ და მტრათ თავისთავად ცხადდება ყველა ის, ვინც სიტყვით თუ საქმით ეწინააღმდეგება ქართველი მუშისა და გლეხის შეთანხმებულ ბატონობას საქართველოში. ეს ისტორიული კანონია და ის ისეთივე სისასტიკით გატარდება ცხოვრებაში, ვით სასტიკია და მწვავე დღევანდელი გაალმასებული კლასობრივი ბრძოლა!

რ. ქ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

წვრილი მრეწველობის თავისუფლება.

შევიწროვება კი არა, არამედ ყოველმხრივ წახალისება! ასეთი დამოკიდებულება შინა მრეწველობასთან და კერძო მწარმოებლებთან მეორე აუცილებელი ნაბიჯია სასურსათო გაწერის გაუქმებისა და გადასახადის დაწესების შემდეგ.

მართლაც წვრილი, კერძო მეურნეობა არსებობს არა მარტო მიწად-მოქმედებაში. ის შეიცავს არა მარტო საკვები პროდუქტების მწარმოებლებს. მცხოვრებთათვის მოსახმარი ყველა დანარჩენი პროდუქტები ჩვენში მზადდებოდა არა მარტო მსხვილ ფაბრიკებში და ქარხნებში. სრულიადაც არა. და რევოლიუციამდისაც ჩვენი მსხვილი მრეწველობა ყველა საწარმოო დარგებში კი არ ჰარსობდა წვრილს.

განსაკუთრებით ჯერდება ანგარიში გავუწიოთ მას ახლა, როდესაც შვიდი წლის ომისა და არეულობის განმავლობაში მსხვილი მრეწველობა ძალზე დაეცა. და ამიტომ ახლა წვრილი მრეწველობის შევიწროება იქნებოდა არა გონივრული, ეს კიდევ უფრო გააძლიერებდა უსაქონლობას. ამავე დროს კი აუცილებელი საჭიროა გავადიდოთ საქონლის რაოდენობა რაც შეიძლება მალე და არ დაუცადოთ მსხვილ მრეწველობის სრულ აღდგენას; სიღატაკე ჩვენი ძალიან დიდია.

რასაკვირველია, თავისთავად ცხადია, გლეხისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის საჭირო საქონლის მიღება თავის ზედმეტ პროდუქტებზე არა ვაჭრისაგან, არა კერძო მწარმოებელ სპეკულიანტებისაგან, არამედ სახელმწიფოსაგან.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქონელი რომელიც დამზადებულია მსხვილ ფაბრიკაში, სადაც მანქანური წარმოება ყველაზე უფრო განვითარებულია, ბევრათ უფრო იაფი ჯდება..

მეორეთ საბჭოთა სახელმწიფოს რომ შეეძლოს მისცეს გლეხს თვითონ ყველა საჭირო საქონელი, მაშინ ყველა საკვები პროდუქტები გლეხებისაგან მოხვდებოდა მუშების და არა კაპიტალისტების და სპეკულიანტების ხელში. ეს კი გააძლიერებდა მუშათა ხელისუფლებას, ურომლისოდაც შეუძლებელია გლეხების განთავისუფლება მემამულეებისაგან. ერთად-ერთი კლასი, რომლის გამარჯვებაშიაც დაინტერესებული არიან გლეხები, ეს მუშათა კლასია, ვინაიდან მხოლოდ ის წავა გლეხებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მხოლოდ ის მისცემს სოფელს მსხვილი მრეწველობის პროდუქტებს მოუტყუებლად და სავსებით სამართლიანად.

მაგრამ არევ-დარევა საშვალებას არ გვაძლევს ერთ დღეს აღვადგინოთ მსხვილი მრეწველობა. ამიტომ წვრილი მეურნეობის თავისუფლება ვრცელდება მიწადმოქმედის გარდა აგრეთვე შინა მრეწველებზე და წვრილ მწარმოებლებზედაც. თუ სრულ თავისუფალ განკარგულებაში არ იქნა მისი პროდუქტები შინა მრეწველი და წვრილი მწარმოებელი არ იქნება დაინტერესებული თავისი წარმოების გაფართოვებაში. სწორეთ ისევე, როგორც გლეხს არ გამოუჩენია დიდი სურვილი განევითარებია თავისი მეურნეობა სასურსათო გაწერის დროს.

წვრილი მეურნეობის თავისუფლება ნიშნავს ჩვენს ჩამორჩენილობას, ჩვენს საკუთრების მიდრეკილებისადმი დათმობას. მაგრამ ეს აუცილებელია. და თუ ომი მოითხოვდა პირველ ხანებში წვრილი მეურნეობის შესამჩნევ შევიწროებას, დღეს მშვიდობიანურ მდგომარეობაზე გადასვლასთან ერთად ეს შევიწროება პირდაპირ და აშკარათ ისპობა.

მსხვილ მრეწველობის თანდათანობითი განვითარებისას წვრილი თავის თავად თანდათან მოკვდება. და ამიტომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მთელი ძალ-ღონე, მთელი ყურადღება მიმართული იქნება მსხვილ მრეწველობისაკენ. მის განვითარებლათ, ჩვენ დღეს მეტად ფართო შეძლება გვაქვს, რაკი ომი უკვე დათავდა. და მისი განვითარება მით უფრო სწრაფად წავა წინ, რაც უფრო მეტ პროდუქტებს დაამზადებენ გლეხები, რაც უფრო მაძღარი იქნება მუშა.

მ. გრანდოვი.

„ბედნოტა“ № 930

საბჭ. საქართველოში

გრუზკავროსტას დეპეშები.

ქუთაისი, 10 ივნისი (დეპეშა). სულ ამ მოკლე ხანში ქუთაისში საბჭოთა აღმშენებლობის დარგში მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. 1) დაიწყო მუშაობა საბჭოთა სამკერვალო სახელოსნომ, 2) მუშა მოსამსახურეებისთვის მოწყობილია სასადილო. 3) ქუთაისის მუშებისათვის გახსნილია საბჭოთა სადალაქო, 4) მოქმედობს სახელმწიფო თეატრი, 5) ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თეატრი. თეატრებს დიდის ხალისით ესწრებიან მუშები. ტევა არ არის. თეატრებში, კლუბებში და ცირკებში იკითხება ლექციები და იმართება მიტინგები.

ნათესის მდგომარეობა.

მანგლისი. 10 ივნ. (დეპეშ.). ამ უკანასკნელად მოსულმა წვიმამ მოსავლის პირი გააუმჯობესა. მოსალოდნელია კარგი მოსავალი. ივნისის ხუთს ძველ მანგლისში გაიმართა ლექცია-საუბარი შემდეგ თემაზე: „სიძვირის მიზეზები და როდის მოეღება მას ბოლო“. საუბარი კარგათ ჩატარდა. ლექტორ ილინსკიმ დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების სასურსათო მდგომარეობა და გააცნო დამსწრეთ, თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს რუსეთში. შემდეგ ის შეეხო საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო ძალთა განვითარებას, ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას და სხ. განზრახულია ასეთივე ლექციების სისტემატიურად წაკითხვა კვირა-უქმე დღეებში. შემდეგში წაკითხულ იქნება ლექცია საბჭოთა შრომის ერთიან სკოლის მეთოდების და პრინციპების შესახებ. ივნისის 8 ს მანგლისში მოეწყო შაბათობის ბიურო. სანიტარულ და სასოფლო-მეურნეობის დარგში სამუშაოთ გამომუშავებულია ფართო გეგმა. შაბათობა იქნება სისტემატიურად. ივნისის 8 ს გამოვიდა „გრუზკავროსტას“ მანგლისის განყოფილების ყოველკვირეულ გაზეთის პირველი ნომერი.

კოჯორი. 8 ივნისი. (დეპეშ.). კოჯორის რევკომმა შეიძინა მთელი რიგი პირველ საჭიროების საგნებისა თბილისთან 8 დღის ბრძოლის დროს დაზარალებულ 60 მოსახლეთა დასახმარებლად.

თევის საქმე ნაყოფიერად მიმდინარეობს. კოჯორში ირიცხება 150 აგარაკი. ამ ჟამად ყველა აგარაკი აღებულია აღრიცხვაზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ავადმყოფ მუშებისა და ბავშვებისათვის.

ახლო აღმოსავლეთის ამერიკული დამხმარე კომიტეტი სოციალურ უზრუნველ ყოფის კომისარიატთან ერთად ხსნის თავშესაფარს 1000 ბავშვებისათვის.

აფხაზეთში.

სოხუმი. 7 ივნისი (დეპეშა). ამნისტიის გამოცხადების გამო რევკომმა დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს დაპატიმრებულთა საქმეები და გაანთავისუფლოს ის პირნი, რომელთაც ეხება ამნისტია.

პროფ. კავშ. კონფერენცია

სოხუმი. 3 ივნისი (დეპეშა) ივნისის ექვს შესდგა აფხაზეთის პროფ. კავშირების გაფართოვებული კონფერენცია. პროფ. კავშირების დანიშნულებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. როსოინმა. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აუცილებელ საჭიროთ სცნობს მთელი სისტემის ცენტრის გადატანას სამეურნეო ორგანიზაციულ დარგში.

აგრეთვე ყურადღება მიექცა პროფ. კავშ. წევრთა, შრომის დაცვის საშუალებით მაღალ კულტურულ დონემდე აყვანაზე, მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებაზე და სხვ. პროფ. კავშ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კოროლიოვმა მოხსენება გააკეთა პროფ. კავშირთა საორგანიზაციო მუშაობაზე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მუშათა დემოკრატიულ ცენტრალიზმისა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა არჩევნების საჭიროების აუცილებლობას. კონფერენცია საჭიროთ სცნობს პროფ. კავშირთა მუშაობის გაძლიერებას პროვინციაში და შრომის სახ. კომისარიატისა და პროფ. კავშ. საბჭოს შეთანხმებულ მუშაობას.

მასწავლებელთა ყრილობა.

სოხუმი. 8 ივნისი. (დეპ.) დ. გალში შესდგა სამურზაყანოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა. ყრილობამ დაადგინა მიესალმოს აფხაზეთის რევკომს. ის პირობას სდებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით ხელს შეუწყობს და ემსახურება სახალხო განათლების და სკოლის განახლებას.

საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას დეპეშები

სრულიად რუსეთის მბეჭდავთა მე-3 ყრილობა.

მოსკოვი. 9 ივნისი (რადიო) მბეჭდავთა ყრილობის პლენუმზე გამოვიდა ყრილობაზე ჩამოსული ნორვეგიის მბეჭდავთა კავშირის წარმომადგენელი ოსკარ, რომელმაც გააშუქა საქმის მდგომარეობა ნორვეგიაში მომხდარ ტრანსპორტის მუშების და მეზღვაურთა გაფიცვის გამო. საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობის და პროფკავშირების მიზნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლუნაჩარსკიმ „ეხლა ამბობს ლუნაჩარსკი, გვეშლება წინ უდიდესი პერსპექტივები, ვინაიდან დღემდე—ისტორიას ჩვენი მუშებისთვის არასოდეს არ მიუცია საშუალება, რომ ასე ძლიერი გავლენა გვქონოდა მთელი მსოფლიოს მუშების განთავისუფლების საქმეზე, ჩვენ ცხადათ და გარკვევით დავადგინეთ საკითხი, რომ მზად ვყოფილიყავით იმ შემთხვევისთვის, თუ რევოლიუცია დასავლეთ ევროპაში დაგვიანდებოდა და გაგვემტკიცებინა საბჭოთა წესწყობილება რუსეთში.

აღმოსავლეთის მუშა-ქალთა მომზადება.

მოსკოვი. 11 ივნისი. (რადიო). თურქესტანის, თათრის, ბაშკირეთის, მთიელთა, დაღესტნის, აზერბაიჯანის რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს, უფის, სარატოვის, ასტრახანის, ცარიცინის, სიმბირსკის, პენზის, სამარის, ეკატერინბურგის საგუბერნიო კომიტეტებს, ყირიმის საოლქო კომიტეტს, ციმბირის ბიუროს. აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშა-ქალთა მოსამზადებლად გამოცხადებულ მშრომელთა კომუნივერსიტეტის კურსანტ ქალთა გასანაწილებლად მივლინებაში მყოფთ მოეთხოვებათ: დედაენისა და რუსულ ენის ცოდნა, პოლიტიკური განვითარება, რომელიც მისცემს საშუალებას 2—6 თვეში სამშობლო ენაზე ხელმძღვანელთა მოსამზადებლად და ნორმალური ჯანმრთელობა. მივლინებულნი უნდა ჩამოვიდნენ მოსკოვში ივნისის 15 ზე გვიან. განაწილებულია: თურქესტანი—4; თათრის რესპუბლიკა—3; ყირგიზეთი—2; ბაშკირეთი—2; ყირიმი, მთიელთა და დაღესტანთა—1; აზერბეიჯანი—3; ციმბირის ბიურო—3; უფა—?; ასტრახანი—2; სარატოვი, ცარიცინი, სიმბირსკი, პენზა, სამარა, ეკატერინბურგი—1. რუსეთის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი—მოლოტოვი, ქალთა განყოფილების გამგე—კოლონტაი. (კავროსტა).

საგარეო ვაჭრობა

პეტროგრადი. 31 მაისი (დეპეშა) საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ აგვისტოდან დაწყებული პეტროგრადში უცხოეთიდან ზღვით დიდძალი ორთქლმავალი იქნება მიღებული. ყოველთვიურათ მიიღებენ 120 ორთქლმავალს.

მთელ ნავოსნობის ხანაში უნდა იქნეს მიღებული 10 ათასი ვაგონი მიწას სა-

დღეს ნომერში:

საქართველოს რევკომი აცხადებს კონკურსს ოთხ ძეგლზე—თავისუფალ ქართველის, მარქსის, პარიზის კომუნის და შოთა რუსთაველის.

საზღვარ-გარეთ გაქცეული ქართველები ემზადებიან სამშობლოში დასაბრუნებლად.

იტალიაში გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს.

მუშაო იარაღები. დაწყებულია მოლაპარაკება ფინეთის სავაჭრო დელეგაციასთან, ფინეთში 60 ათასი საჟენი შეშის შეყიდვის შესახებ პეტროგრადის საჭიროებისათვის.

მუშაობა აღმოსავლეთ ხალხთა შორის.

მოსკოვი. 10 ივნისი (რადიო). ამ დღეებში კრემლიდგან გაემგზავრა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს სრულუფლებიანი კომისია ამხ. ი. ზრაგევის მეთაურობით აღმოსავლეთის მცხოვრებთა შორის სამუშაოდ. კომისია 25 თათრისა და 15 რუს პარტიულ და საბჭოთა მუშაკთაგან შესდგება. კომისიის განკარგულებაში იმყოფება აღმოსავლეთის ენაზე დაწერილი საკმაო ლიტერატურა.

სალამი ინგლისის მაღაროს მუშებს.

მოსკოვი. 11 ივნისი (რადიო). სად. ნიკოლაევის მუშა მოსამსახურეებმა გამოიტანეს მისასალმებელი რეზოლიუცია ინგლისის მაღაროს მუშებისადმი. ივნისის 7 მათ ორი საათი ზედმეტი იმუშავეს და მთელი შრომის ხელფასი გადაადეს ინგლისის მაღაროს მუშათა დამხმარე ფონდს (კავროსტა).

მუშათა ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრებაზე სიმფეროპოლში მოაგროვეს შემოწირულებანი ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ. პირველ დღეს მოაგროვეს 375.000 მან.

სასოფლო მეურნეობას დახმარებას უწევენ.

მოსკოვი. 10 ივნისი. (რადიო). შინა მრეწველობის მთავარმა განყოფილებამ შეუკვეთა მრეწველებს სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო იარაღი. შეკვეთილია გუთანი 100,000 ცალი, ფარცხი—150,000, ცხენით სალეწავი 100,000 ცალი და ბარი—250,000 ცალი. სულ 12 მილიონ ცალ ნივთზე მეტი.

ახალი გზები წარმოებათა გასაძლიერებლად.

მოსკოვი. 11 ივნისი. (რადიო). ჰომელში მუშათა სასარგებლოდ შემოიღეს საკუთარ წარმოებათა საგნეულობისაგან პროცენტული გადასახადი. ემჩნევა წარმოებათა თან და თან აწევა. ლეკერტის ლუდის გამომხდელ ქარხანაში შრომის ნაყოფიერობამ 2 ჯერ აიწია, გაზების ქარხნებში 5-ჯერ. ყავის წარმოებებში შემოღებულია ნარდი ხელფასი.

მუშების გაგზავნა სააგარაკოთ.

მოსკოვი, 11 ივნისი. (რადიო). ტიუმენიდან გზავნიან ავადმყოფ მუშებს სააგარაკოდ კავკასიასა, ყირიმსა და შავი ზღვის ნაპირებზე. (კავროსტა).

მარილის გადატანა.

მოსკოვი, 10 ივნისი. (რადიო). მარილის დატვირთვა და გადატანა მაისის განმავლობაში აპრილთან შედარებით უფრო ნაყოფიერად ჩატარდა. თვის განმავლობაში მარილის ყველა სამრეწველოდან გადატანილია 6,5 მილიონ ფუთამდის მარილი, მაშინ როდესაც აპრილის განმავლობაში გაიტანეს მხოლოდ 4 მილიონი ფუთი. გატანილია: ბასკუნჩაკიდან—4027 ვაგონი, ელტონიდან—34 ვაგონი, პერმის რაიონიდან—140, ბახმუტიიდან—1071 და ოდესის რაიონიდან—295 ვაგონი. (კავროსტა).

მოსავალი.

მოსკოვი. 10 ივნისი. (რადიო). შვრიის მოსავალი თითქმის ყველა გუბერნიაში საერთოდ საშუალოზე ცოტათი ნაკლებია. ივანოვ-ვოზნესენსკსა და ორლოვის გუბერნიაში შვრიის მოსავალი როგორც ეტყობა საშუალოზე უკეთესი იქნება. უკრაინაში შვრია კარგია, ქერისა და საანეულო მოსავლის მდგომარეობა შესანიშნავათ უკეთესია. უკრაინაში საანეულო მოსავალი კარგია. ბალახი გვალვის გამო საშუალოზე ნაკლებია. (კავროსტა).

იაპონიისადმი შორეულ აღმოსავლეთის ნოტა

მოსკოვი 9 ივნისი. (რადიო) შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაისის 30 მიჰმართა ნოტით იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიაც შორეულ აღმოსავლეთის მთელი რუსის ხალხის სახით გადაწყვეტით მოითხოვს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საქმეში იაპონიის ჩარევის შეჩერებას. ნოტაში აღნიშნულია იაპონიის ჩარევის ფაქტი და იაპონიის სარდლობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის კონტრ-რევოლიუციონერთადმი დახმარება. ნოტა კატეგორიულად მოითხოვს იაპონიის მთავრობისა და სარდლობისაგან გარკვეულ განცხადებას და გადაწყვეტილ უარს ვლადივოსტოკის ყალბ მთავრობისადმი დახმარებაზე.

თეთრ-გვარდიელები იშლებიან

მოსკოვი 9 ივნისი (რადიო) მაისის 23 ვლადივოსტოკში თეთრგვარდიელების გამოსვლა პროვოკაციით გავრცელებული რესპუბლიკის მშვიდობიან აღმშენებლობის გაფთრებულ მოძულეთა მიერ იშლება და არსად ჰპოულობს გამოძახილს. სემიონელებმა მონარქიულ ორგანიზაციათა ყრილობის შავრაზმულ საბჭოს მეთაურობით შეადგინეს ეგრეთ წოდებული „მთავრობა“. პირველ დეკლარაციაში ისინი სჩივიან მცხოვრებლების მონაწილეობის მიუღებლობას და ემუქრებიან რეპრესიებით მშრომელთა ხელისუფლების ყველა თანამგრძნობლებს. ამ ბუტაფორულ მთავრობაში შევიდნენ იაპონიის შტაბის თანამოსამსახურენი. ფალსიფიკაციური მთავრობა სცდილობს წარსდგეს უცხოელთადმი დემოკრატების სახით, მაგრამ ავანტიურისტები ვერავის მოატყუებენ. მოსახლეობა სახლებში რჩება. მუშა მოსამსახურენი არ გადიან სამუშაოზე. ვლადივოსტოკში შესწყდა სიცოცხლე. ავანტიურა იჭამს თავის თავს, ვინაიდან მოსახლეობა არ უთანაგრძნობს მას. (კავროსტა).

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

კომუნისტ დეპუტატის გალახვა.

რიგა. 10 ივნისი. (რადიო) გაზეთ „პეტ[illegible]ნ“-ში მოთავსებულია სურათი სადაც გამოხატულია ის მომენტი, როდესაც პარიზის კომუნისტთა დემონსტრაციის დროს პოლიციის აგენტმა დეპუტატი ერნესტ ლაფონი ჯოხით სცემა. (კავროსტა).

კომუნისტური პროპაგანდა საფრანგეთში.

ლიონი. 10 ივნისი. (რადიო). სამხედრო მინისტრმა ბარტუმ უცხოელ ჟურნალისტების მიღების დროს განაცხადა, რომ საფრანგეთში კომუნისტური პროპაგანდა მიმართული იყო გერმანიისკენ გასაგზავნ ახალ ძალთა მობილიზაციის წინააღმდეგ.

კომუნისტები იტალიის პარლამენტში.

მოსკოვი, 9 ივნისი (რადიო). იტალიაში ამ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს კომუნისტებმა 27 საარჩევნო ოლქებში მიიღეს საერთოდ 375,500 ხმა. მიღებულ ხმების რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს ფლორენციას (კავროსტა).

მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ.

მოსკოვი, 10 ივნისი (რადიო). ინგლისის ქვანახშირზე მომუშავეთა და მაღაროების პატრონთა კონფერენცია დაიწყო. მოლაპარაკება სწარმოებს. (კავროსტა).

ფრანგები ინგლის-რუსეთის შეთანხმებით აღშფოთებულნი.

ნაუენი, 7 ივნისი (რადიო). ბრიანმა გაუგზავნა პარიზში არსებულ ბრიტანეთის საელჩოს პროტესტი რუსეთ ინგლისის სავაჭრო შეთანხმების ზოგიერთ მუხლების წინააღმდეგ; კერძო საფრანგეთის მინისტრი პროტესტს აცხადებს მეცხრე მუხლის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ბოლშევიკებს ინგლისში ფულისა და ძვირფას ქაღალდების შეტანა შეუძლიანთ.

გერმანია და ანტნიტა.

ლიონი. 9 ივნისი. (რადიო). გაზ. „პტი-პარიზიენი“ აქვეყნებს პოლკოვნიკ სოუზის წერილს. ის ადასტურებს იმ აზრს, რომ აღდგენის მინისტრათ ვალტერ-რეშენაუს დანიშვნის ფაქტი დამამტკიცებელია იმისა, რომ ახლანდელ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს შეასრულოს ანტანტას წინაშე ყოველგვარი თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი და ამისთვის გამოიყენოს გერმანიის უნარი/გადახდისა, რამდენათაც კი შეიძლება. ყველა ფაქტი ღაღადებს, რომ გერმანიის ეხლანდელი მთავრობა უძლიერესათ მტკიცეა და ამიტომ საჭიროა, რომ ეს მთავრობა უფრო ხანგრძლივათ იდგეს რესპუბლიკის სათავეში. მთავრობის განმტკიცების გარდა მორიგი საკითხია—გერმანიის საფრანგეთთან დაახლოვება. ბევრი გერმანელები იმ აზრის არიან რომ უამისოთ ევროპის აღორძინება შეუძლებელია.

სანამ საფრანგეთი და გერმანია საბოლოოთ არ გადასწყვეტენ სადავო საკითხებს, მანამდე ევროპის აღორძინება და ეკონომიურ მშვიდობიანობის ფაქტიური დამყარება შეუძლებელია.

საქართველოსაკენ

ბათუმი. 10 ივნისი (დეპეშ.) მაისის 24 სტამბოლში შემდგარ ქართველ ლტოლვილთა კრებაზე გადასწყდა, რომ ყველა ლტოლვილი უკან დაბრუნდეს. წამოსასვლელად ემზადება 600 ლტოლვილი აფიცრობა და ჯარის კაცების დიდი ნაწილი.

კომუნისტების დახმარებისათვის.

პეტროგრადი. 31 ივნისი, (დეპეშა) ჰამბურგში გაასამართლეს მეზღვაურები, მათ ბრალდებოდა წარსულ წლის აპრილში გემი „შრეიდერით“ კომუნისტ იუნგის წაყვანა მურმანში, საიდანაც ის მიემგზავრებოდა მოსკოვში კომინტერნის კონგრესზე დასასწრებათ. ერთ-ერთ ბრალდებულს მიუსაჯეს 5 წლით გამასწორებელ ციხეში დატუსაღება.

ეშინიათ.

პეტროგრადი. 31 მაისი. (დეპეშა). პოლონეთის მთავრობამ აკრძალა პოლონეთში „ჰუმანიტე“ს და „დეილი ჰეროლდის“ გავრცელება.

გაფიცვები იზრდება.

მოსკოვი. 11 ივნ. (რადიო). სახელმწიფო მუშათა გაფიცვა იტალიაში იზრდება.

ბურჟუაზიულ დიპლომატთა უძლურება.

პეტროგრადი, 31 მაისი. (დეპეშა). დეპუტატთა პალატაში კაშენმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ზემო სილეზიის შესახებ. მან ნათელჰყო ბურჟუაზიულ დიპლომატთა უძლურება ევროპისათვის მტკიცე ზავის მინიჭების საქმეში.

საქართველოს მშრომელ უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა.

მისალმება გურიიდან.

მოკლე მისასალმებელ სიტყვას გურიის სახელით ამბობს ქართულად ამხ. ივანოვისა. ორატორი აცხადებს, რომ უსაზღვროთ ბედნიერია იგი მშრომელ ქალთა ყრილობის ნახვით. გურიაში მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ მიღებული იქნება ყოველივე ენერგიული ზომა, გაჩაღებული იქნება იქ ცხოველი მუშაობა და ჩვენ მალე დავინახავთ ახალ, აყვავებულ საქართველოს.

მისალმება სოფელ არაპლიდან.

სოფელ არაპლის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ზეინებ-სეიდი. იგი სალამს უძღვნის ყრილობას ბორჩალოელ ქალთა სახელით, როდესაც ჩვენ წინადადება მოგვეცა ყრილობაზედ წამოსვლის შესახებ —განაცხადა ამხ. ზეინაბ-სეიდმა, შეგვეშინდა, მაგრამ ჩვენთან მოსულმა ამხანაგებმა დაგვარწმუნეს და დაგვიყოლიეს აქ წამოსვლაზედ. და ეხლა დიდი მადლობელი ვართ მათი. ამ ყრილობაზედ თითქოს ახლად დავიბადენით. როგორ ვცხოვრობდით აქამდის: დილიდან საღამომდე მუშაობა და ზრუნვა, ხელფეხ შეკრულნი და დაჩაგრულნი. ეხლა კი ვიცით, რომ დღეიდან ჩვენც ადამიანები ვართ და ვიცხოვრებთ ისე, როგორც ცხოვრობენ ჩვენი ძმები, რუსები, ქართველები, სომხები და ყვ[illegible] ეს მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა [illegible] მაშ გაუმარჯოს მუშა ქალს და [illegible] სიტყვის გათავების [illegible] ძლიერი, განუწყვეტელი ტაში.

შემდეგ ბორჩალოდან მისალმებით გამოდის ამხ. თეოფილოვა და სამოცდაათი წლის კარაპეტიანი, რომელიც თავის მისალმებაში ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ აუხილა ქალს თვალები. ჩვენ ბრმები ვიყავით, უსულო გვამები, ეხლა გავცოცხლდით ჩვენ გზა აბნეული ვიყავით და ამიტომ ვიტანჯებოდით. ჩვენს შვილებს ხოცავდნენ და სანამ ჩვენ ვამუშავებთ წარმოების აღსადგენათ, ჩვენი ბავშვები თქვენ მიიბარეთ, თქვენ იზრუნეთ მათზედ. მე ვთხოვ ამხ. ლენინს დაგვეხმაროს, რომ საბოლოოდ თვალი აგვეხილოს, ჩვენ ფიცსა ვდებთ წითელ დროშაზედ, რომ დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას.

თელავიდან მისალმებას ამბობს ამხ. მაისურაძე; სოფელ პრივოლნიიდან ამხ. ტარასოვი; დუშეთიდან ამხ. ქობლაშვილი.

სამხრეთ-ოსეთის პარტიულ კომიტეტისაგან.

სამხრეთ-ოსეთის პარტიულ კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. გოზაევისა, რომელიც ამბობს: „დიდათ ბედნიერი ვარ, ამხანაგებო, აქ, აზიაში, ქალთა ყრილობის ნახვით. ძველი ხელისუფლება სჩაგრავდა მამაკაცებს და ამავე დროს ორჯელ-მეტად სჩაგრავდა ქალს. ამ ხელისუფლებას ბოლო მოეღო, თუმცა უნდა კი ვსთქვათ, რომ ბნელ კუნჭულებში ჩურჩული კიდევ გრძელდება. ჩვენი კომიტეტი იბრძოდა მშრომელი ხალხის გასანთავისუფლებლად, იმედოვნებდა და აი, ჩვენი იმედი გამართლდა. თქვენ, ქალებო, უნდა ესწრაფოდეთ აღმოსავლეთისკენ და უნდა იმუშაოთ აღმოსავლეთის უძლურ, დამონავებულ, დაჩაგრულ ქალთა დასაცავათ. როგორც შეგნებული მუშა ხედავს თავიდან ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ქალს, ისე მეც ბედნიერებით აღსავსე აცრემლებულ თვალებით გიყურებთ თქვენ.

მისალმება უპარტიო ქალთა საქალაქო კონფერენციიდან.

უპარტიო ქალთა საქალაქო კონფერენციის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ბადრიძე. ეს ყრილობა, განაცხადა ორატორმა, დარჩება სამახსოვროდ არა მხოლოდ ქალებზედ, არა, იგი ჩაიბეჭდება აქ დამსწრე ყოველ ქალის გულში, რომელიც წავა მერე აქედან თავის სოფელში, თავის ოჯახთან და ჩაუნერგავს შვილებს იმ აზრს, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არი[illegible] მუშებისა და გლეხების დამცველი.

მისალმების მოსმენის შემდეგ, კრება დროებით შესწყდა; საღამოს სხდომაზედ მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მახარაძემ. ეს მოხსენება უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. საღამოთი მთელმა ყრილობამ ინახულა თეატრი „სატირაგიტი“, სადაც ამ მიზნისთვის შემუშავებული იყო საგანგებო პროგრამა. თეატრში მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბოგდატიევისამ.

ამხ. ბოგდატიევის სიტყვა.

ამხანაგებო, მე მხვდა წილად ორმაგი სიამოვნება: გუშინ მოგესალმეთ პრესის და ჟურნალისტების სახელით. ეს[illegible] ისეთივე მებრძოლი ავანგარდია, როგორც არმია, და დღეს კი, აქ, რევოლიუციონურ ხელოვნების სახელით. პრე-

ჩაის წარმოება საქართველოში.

ჩაის წარმოება საქართველოში დაიწყო 1848 წ. ჩაის წარმოება არის დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში და ბათუმის ოლქში. პირველად ჩაის პლანტაციების მოწყობას შეუდგა ინგლისელი მარრი. სამრეწველო ხასიათი ჩაის წარმოებამ მიიღო მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ჯერ-ჯერობით ჩაის წარმოებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა საერთოდ მეურნეობაში. მხოლოდ უკვე საკმაო გამოცდილება არის და დამტკიცებულია, რომ საქართველოში შესაძლებელია საუკეთესო ხარისხის ჩაის დამზადება. საჭიროა ოღონდ დახელოვნებული ხელმძღვანელობა და წარმოების გამრავლება. ჩაის წარმოებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კერძო პირს კ. პოპოვს და ყოფილი საუფლისწულო მამულების გამგეობას, რომლებმაც ჩაის წარმოება კარგ ნიადაგზედ დააყენეს. 1905 წლიდან დაწყებული ჩაის პლანტაციების სივრცე შეუჩერებლად იზრდება.

1912 წ. ჩაის მეურნეობის რაოდენობა იყო ბათუმის ოლქში 122, პლანტაციებს ეკავა 711 დესიატინა, 1916 წ. მეურნეობის რიცხვი იყო 205, სივრცე პლანტაციების უდრიდა 836 დესიატინას.

დასავლეთ საქართველოში 1912 წ. პლანტაციებს ეკავა 26 დესიატინა, 1916 წ. 70 დესიატინა. სულ პლანტაციებს ეკავა საქართველოში 1912 წ.—733 დესიატინა, 1916 წ.—906 დესიატინა. ჩაის მეურნეობა საქართველოში წვრილი მეურნეობაა. პლანტაციების სივრცე განსაკუთრებით წვრილ-წვრილია. სხვილი პლანტაციების 9—10 დესიატინამდე ზომით იყო 1912 წ.—ერთი, 1916 წ.—ორი. მეტი წილი პლანტაციებისა იყო 3—4 დესიატინამდე 1912 წ. 11; 1916 წ.—[illegible]ს რიცხვი უცვლელად დარჩა 2—3 დესიატინამდე. 11 მეტი არ ყოფილა. 1—2 დესიატინამდე. სივრცე ეკავა 1912 წ. 16 პლანტაციას, 1916 წ.—42. უდიდესი ნაწილი პლანტაციებისა არის ზომით ერთ დესიატინაზედ ნაკლები, მათი რაოდენობა იყო 1912 წ—77, 1916 წ. 125, პლანტაციები საქართველოში წვრილია და თვით ჩაის წარმოება არის წვრილი წარმოება.

სხვილი წარმოება ეკუთვნოდა საუფლისწულო უწყებას და კ. პოპოვს, საუფლისწულო მამულების პლანტაციების სივრცე უდრიდა 1912 წ. 450 დესიატინას, 1916 წ.—500 დეს. კ. პოპოვის პლანტაციების სივრცე იყო 105 დესიატინა 1912 წ., 128 დესიატინა 1916 წ.

დასავლეთ საქართველოში, ოზურგეთის მაზრაში ერთი პლანტაცია იყო ზომით 12 დესიატინა. ეს წარმოება ეკუთვნოდა ნაკაშიძეს, სოფელ ზედობანში, ოზურგეთის მაზრაში, დანარჩენი პლანტაციები ძლიერ წვრილი იყო.

მხოლოდ საუფლისწულო მამულების გამგეობამ და კ. პოპოვმა, სხვილმა მწარმოებლებმა, შესძლეს სათანადო დონეზედ დაყენება ჩაის წარმოების. მათ წარმოებას ქონდა მრეწველობის ხასიათი და გასავალი ბაზარზედ. წვრილი მწარმოებლები კი არ იყვნენ აღჭურვილი წარმოების ცოდნით, არც საშუალება ქონდათ დაემზადებიათ ისეთი ნაწარმოები, რომელსაც შეეძლო ბაზარზედ გასვლა.

საქართველოში უმთავრესათ დაწვრილმანებული წარმოება იყო, ამ წარმოებას არ ქონდა მრეწველობის ხასიათი, არ შეეძლო წარმოების გაუმჯობესება და წარმატება, სამრეწველო ხასიათი ჩაის წარმოებას მისცეს საუფლისწულო მამულების გამგეობამ და კ. პოპოვმა. მათ წარმოებას ის დიდი მნიშვნელობა ქონდა, რომ აჩვენეს და დაამტკიცეს ეკონომიური მნიშვნელობა ამ მეურნეობისა. საუფლისწულო მამულებს და კ. პოპოვის წარმოებას საჩვენებელი ხასიათი ქონდა, ესენი აძლევდნენ ცდას, ამუშავებდენ საუკეთესო ჯიშებს. ეს იყო ერთნაირი სკოლა ადგილობრივი მეურნეებისათვის. მთავარი შედეგი კი ამისა იყო ის, რომ ჩაის წარმოება თან და თან იზრდებოდა და ჩაის წარმოება ჩაექსოვა მეურნეობაში. მხოლოდ ვინაიდგან კერძო ადგილობრივი მწარმოებლები ძლიერ სუსტნი და წვრილი წარმოებლები იყვნენ, მათ ვერ წასწიეს წინ წარმოება, ვერ მისცეს მას წარმატება. წვრილ პლანტატორების ჩაის ყიდულობდა საუფლისწულო მამულების გამგეობა და კ. პოპოვი და გადამუშავებულს უშვებდა ბაზარზედ.

საუფლისწულო მამულების გამგეობამ დაამზადა გასასყიდი ჩაი 1912 წ. 906.358 გირვანქა, 1914 წ.—1,104 231 გირვანქა და 1915 წ. 1.288.857 გირვანქა.

კ. პოპოვმა დაამზადა ბაზრისათვის 1912 წ.—35.416 გირვანქა ჩაი, 1916 წ. 67.757 გირვანქა.

დანარჩენმა მეურნეებმა ბათუმის ოლქში 1912 წ. დაამზადეს ბაზრისათვის 20.204 გირვანქა, 1912 წ. 43.043 გირვანქა ჩაი.

ოზურგეთის მაზრაში 1916 წ. ნაკაშიძემ დაამზადა 8.179 გირვანქა ჩაი, ხაზინამ—2.480 გირვანქა და წვრილ პლანტატორებმა—306 გირვანქა. წვრილი მწარმოებლების მონაწილეობა საერთოდ ჩაის წარმოებაში ძლიერ მცირეა და უმნიშვნელო. საუფლისწულო მამულების და პოპოვის წარმოება სჭარბობს და უდიდესი ადგილი უჭირავს ჩაის წარმოებაში.

ომიანობამ დიდი გავლენა მოახდინა ჩაის წარმოებაზედ. ჩაის წარმოება შეჩერდა. ბათუმის ოლქში ოსმალების შემოსევამ დაარბია მოწყობილი საქმე. ამ ჟამად დიდი მუშაობა არის საჭირო წარმოების აღსადგენათ და მოსაგვარებლად. საქართველოში დამზადებული ჩაის ბაზარი იყო რუსეთი და ნაწილობრივ საქართველო. რუსეთის ბაზარში საქართველოში დამზადებულ ჩაის დიდი სახელი არა ჰქონდა. დიდ მეტოქეობას უწევდა შორეული აღმოსავლეთიდან შემოზიდული ჩაი; მომხმარებელი უფრო ეტანებოდა უცხოეთიდან შემოზიდულ ჩაის, რომელიც უფრო ძვირი იყო შინაურ ნაწარმოებზედ. უცხოეთიდან შემოტანილი ჩაი ხარისხით უფრო კარგი იყო, უფრო კარგად დაყენებული და დამზადებული. წარსული გამოცდილებით უკვე ვიცით, რომ საქართველოს ჩაი ხარისხით კარგია, მხოლოდ დამზადება ვერ ხდებოდა იმ წესით, რომელიც დამუშავებული იყო აღმოსავლეთში, სადაც ჩაის წარმოება არის ძველი და გამოცდილი წარმოება. მაშასადამე, მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ჩაის რუსეთის ბაზარზედ გასვლას, იყო ის, რომ არ იცოდენ ხეირიანი მომზადება. ეს კი გამოცდილების და ტვინის საკითხია.

საქართველოში ჩაის მოთხოვნილება არ არის დიდი. ჩაის მომხმარებელი არის უმთავრესად ქალაქი, სოფელში მცირე გასავალი აქვს. ქალაქის მოთხოვნილება კი დიდი არ არის. მაშასადამე სრულიად შესაძლებელი არის შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თუ ამ წარმოებას მიექცევა სათანადო ყურადღება, გაძლიერებული იქნება წარმოება, შემოტანილი იქნება სათანადო წესები წარმოებისა, შესაძლებელი არის ჩაის საქართველოდან მეზობელ რესპუბლიკებში გატანა. ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი იმდენათ საზარალოა, იმდენად დიდ დეფიციტს იძლევა იგი, რომ აუცილებელია ამ დეფიციტის შემცირება. სხვადასხვა საშუალებათა შორის საჭიროა ისეთი დარგების გაძლიერება, რომლის შედეგი იქნება შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სრულიად იოლად შეიძლება ჩაის შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება შინაურ წარმოებით.

საერთაშორისო ომიანობამდე საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი ცვლილება დაიწყო. მიწის სივიწროვემ, მეურნეობის მცირე მოსავლიანობამ აიძულა მეურნეა თავი გაენებებია ხორბლეულობის წარმოებისათვის. მეურნეობა თანდათან გადადიოდა უფრო მოსაგებ წარმოებაზედ: თამბაქოს, ბამბის, ჩაის და სხვა. მეურნეობის ასეთ მიმართულებას საღი აზრი ედო სარჩულად. წვრილ ნაკვეთებზედ დაქუცმაცებული მეურნეობა ხორბლეულობის საზარალო იყო, მეურნე ეწეოდა მაღალ კულტურის წარმოებას. ამ ცვლილებაში თვალსაჩინო ადგილს იჭერდა ჩაის წარმოება. სოფლის მეურნემ გამოცდილებით მიხვდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა მეურნეობის ასეთ გარდაქმნას, ომიანობამ, სურსათის, განსაკუთრებით ხორბლეულობის გაძვირებამ, აღნიშნული მიდრეკილება მეურნეობისა შეაჩერა და მისცა სხვა მიმართულება. სოფლის მეურნეობის გარდაქმნა შეჩერდა და მეურნეობის წარმატება შეფერხდა.

მომავალი კი გვიკარნახებს აღვადგინოთ ის მიმართულება სოფლის მეურნეობისა, რომელიც ბუნებრივად დაიბადა; ხელი უნდა შევუწყოთ მეურნეობის გარდაქმნას. დაბალი კულტურა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებში პირდაპირ საზარალოა. ახალი გზები მეურნეობისა, ახალი საშუალებანი მეურნეობისა—აი ერთად ერთი ჭეშმარიტი გზა ერის ეკონომიური წარმატებისა.

ომიანობამ დაანგრია მეურნეობა, ბევრი, ძლიერ ბევრი გვასწავლა მან. გაკვეთილები უნდა გამოვიყენოთ სავსებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაძლებლობა დიდია, საჭიროა ამოძრავება ყველა იმ ძალებისა, რომლებიც დღეს გაფანტულნი არიან და უნაყოფოდ იკარგებიან.

ნ. ავალიანი.

სის ზეგავლენასთან გვერდით ხელოვნების ზეგავლენა უფრო ძლიერია. თქვენ ბრძანდებით ეხლა სატირ-აგიტში. როგორც ამ თეატრის თვით სახელი გვიჩვენებს, იგი ორ მიზანს ემსახურება— სატირას და აგიტაციას. ჩვენ საქმე გვაქვს ძველი დროიდან და ჩვენი სისაძაგლესთან, სიმრუდესთან. ამ წარსულს ებრძვის სიტყვით, კალმით. იგი გეჩვენებათ მძლავრ გარდუვალ მტრად, მაგრამ როდესაც ამ წარსულს მასხარად ვიგდებთ აქ, სცენიდან, ვგრძნობთ, რომ იგი წარსულია და წარსულია სამუდამოთ, და აღარ დაბრუნდება. მაშ ასე, წარსული დანგრეულია. ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ მხარეში ახალ ცხოვრებას. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეხლა დავიწყეთ აქ მუშაობა, სულ რამდენიმე თვეა, და ჯერ კიდევ ბევრია რაღაცა პაწაწკინა, სასაცილო, მშიშარა. და აი ამას ვაგდებთ მასხარათ, ამას ვამთრახებთ ჩვენ აქედან ახალ ცხოვრებაშიაც. შეხვდება სასაცილო რამე, რადგანაც ჩვენშიაც დარჩენილია ცოტაოდენი წარსულიდან. ჩვენი მიზანია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და ახალ ცხოვრებისაკენ, შრომისაკენ და თავისუფლებისაკენ ხალხის მოწოდება.

საქალაქო პირველი პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ შემდეგი, პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი მისალმება გაუგზავნა ამხ. ლენინს და ზინოვიევს.

ლენინს (ასლი მოსკოვის „პრავდა“-ს რედაქციას).

„საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, როგორც მასწავლებელს და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის წინამძღოლს, თქვენი გენიალური განმჭვრეტლობა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია აღმოსავლეთის მშრომელთა და მთელი ქვეყნიერების პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად. საქართველოს კომუნისტური მოძრაობის ცენტრის—თბილისის კომუნისტები ყოველ ღონეს იხმარენ, გამოიჩენენ აუცილებელ გამძლეობას სიმტკიცეს და დისციპლინას, რომ იყვნენ ღირსნი იმ დიადი და რთული მიზნებისა, რომლის განხორციელება დაგვავალა ჩვენ ისტორიულმა მომენტმა, ასე სწორედ გაშუქებულმა პროლეტარიატის უდიდეს მეთაურის მიერ.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მის წინამძღოლს, ამხანაგ ლენინს.

ზინოვიევს. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია აღფრთოვანებით ესალმება საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს— მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მე 3 ინტერნაციონალის მესამე კონგრესი დასახავს სწორ გზებს ბურჟუაზიული მსოფლიოს ალყა შემოსარტყმელად და იერიშით აღებისათვის, იმ მსოფლიოს, რომელსაც იცავენ პროლეტარიატის ინტერესების სამარცხვინოდ გამყიდველი ყვითელი ინტერნაციონალის მეთაურები, ანტანტას ლაქიების მენშევიკების სამარცხვინო უღლისაგან განთავისუფლებული საქართველოს პროლეტარები ღირსეულად შეასრულებენ თავის მოვალეობას და მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დაიხოცებიან ან გაიმარჯვებენ.

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მის მეთაურებს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა სომხეთის რევკომის თავმჯდომარე ამხ. მიასნიკოვი.

ამხ. მიასნიკოვი. ამხანაგებო, მე თქვენ არ მოგესალმებით, რადგან სასაცილო იქნებოდა პარტიულ კონფერენციაზე ოფიციალურ ნაწილზე დრო დავეკარგა, მაგრამ მე მინდა რამოდენიმე სიტყვა გიამბოთ საქმეთა ვითარების შესახებ სომხეთში, შესახებ სომეხ ამხანაგების შეხედულებისა საერთო-კავკასიის საქმეზე. თქვენ იცით, რომ სომხეთს კავკასიის რესპუბლიკათა შორის განსაკუთრებული ალაგი უკავია, რადგან ესაა ქვეყანა, ეკონომიურად ყველაზე მეტად განადგურებული, უფრო ჩამორჩენილი კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებს შორის. ამიტომ ჩვენი საბჭოთა მუშაობა იქ საგრძნობლად გაძნელებულია. მაგრამ სომეხი ამხანაგები ფიქრობენ, რომ გამოვლენ ამ მძიმე მდგომარეობიდან, ვინაიდან სომხეთში თავი მოიყარეს მუშაკების საგრძნობმა ძალებმა, რომელნიც ხელი ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ ქვეყნის აღსადგენად და საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლად. შეხედულება სომეხ ამხანაგების მთელი ამიერ-კავკასიის კოორდინებაზე სავსებით ეთანხმება იმ სურვილებს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების უფრო მჭიდროდ შეკავშირების შესახებ, რომელიც გამოითქვა აქ, ამ დარბაზში. ამხ. მახარაძემ აქ განაცხადა, ეხლა ჩვენი კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ფედერაციაზე უფრო შორს მივდივართო. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი რესპუბლიკების ძალა იმაში კი არ არის, რომ ჩაიკეტონ თავიანთ საზღვრებში, არამედ იმაში, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები უფრო მჭიდროდ შეუკავშირდნენ ერთმანეთს და ახლო მომავალში შექმნან ამიერ-კავკასიის ერთიანი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, და შემდეგ შეუკავშირდნენ მჭიდრო ჯაჭვებით ჩვენს დიდ საბჭოთა რესპუბლიკას (ტაში). მე მგონია, რომ საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში ჩვენს განკარგულებაში მყოფი ძალები საკმაოდ დიდია და შეუძლიათ ეს მიზანი განახორციელონ, მაგრამ ამისათვის საჭიროა შეთანხმებული მუშაობა, საჭიროა რომ ჩვენი პარტია მთლიანი იყოს და არ ჰქონდეს ადგილი უთანხმოებათ. მე მგონია, რომ უნდა გამოვძებნოთ საშუალო ხაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება ისეთი პირობები, როგორც მაგალითად, უკრაინაში, რომლის მაგალითი მე ძალიან მაშინებს. მე ვიცი, თუ როგორ იქმნებოდა უკრაინის რესპუბლიკა. ჩვენ იქ ავიღეთ ზედმეტად „რევოლიუციონური ხაზი“, ჩავიდინეთ უკიდურესობანი. ჩვენ უნდა ავიცილოთ ეს ტენდენცია.

აქ ზოგიერთი მიუთითებდა საქართველოს რევკომის პოლიტიკით უკმაყოფილებაზე. მე სავსებით გაცნობილი არა ვარ ამ პოლიტიკას. მაგრამ მე მინდოდა გამეფრთხილებინეთ როგორც მემარცხენეობის, ისე მემარჯვენეობის მიმართულებით გატაცებისაგან. ყველაზე უკეთესია ავირჩიოთ საშუალო მიმართულება. ამ მხრივ მე 7 ყრილობამ მოგვცა ბრწყინვალე მაგალითი ნაციონალურ საკითხის შესახებ რეზოლიუციაში. იგი უდევს საფუძვლად ყველა დადგენილებებს, და ჩვენც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ რეზოლიუციით. აქ გარკვეულია ორი ხაზი: მარცხენა კოლონიზატორული, როგორც ის იწოდება ჩვენს ენაზე, და მარჯვენა,—როგორც მას ხშირად ეძახიან ნაციონალისტური. კოლონიზატორული ხაზი მავნებელია განაპირებისათვის, ამ პოლიტიკამ ჩამოაცილა პროლეტარულ მოძრაობას უკრაინა, ლატვია, ლიტვა და სხ. ისინი იქმნებოდნენ და იღუპებოდნენ. ნაციონალურ პოლიტიკას შეუძლია ჩვენ ჩამოგვაშოროს საუკეთესო კომუნისტური და რევოლიუციონური ძალები. ამიტომ უნდა მივიღოთ საშუალო ხაზი, რომელიც დასახა ამხ. ლენინმა. ყველაფერს რასაც ის სწერს თავის წერილში, ჩვენ დოგმად ვერ გავიხდით. ჩვენ მარქსისტები ვართ და ვმოქმედობთ ამა თუ იმ განსაზღვრულ პირობებში, მაგრამ ლენინის მიერ ნაჩვენები ხაზი უნდა მივიღოთ, როგორც ძირითადი დებულება. ამაზე არ ჰქონია მსჯელობა რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, არ ულაპარაკნიათ არც კავბიუროს, არც ნაცბიუროს. მე გამოვხატავ ამხანაგების ჯგუფის განსაზღვრულ აზრს, თუ ვიტყვი, რომ აუცილებელია, კავბიუროში ყრილობაზე მივიღოთ ამის გამო გარკვეული გადაწყვეტილება. აქ ამის შესახებ იყო მხოლოდ ცალკე მსჯელობანი, მაგრამ ეს საკითხი სათანადოდ არ გამოგვირკვევია. სომხეთში განვიხილეთ იგი საკმაოდ ფართოდ და ჩვენში არ არის რამე უთანხმოება, თუმცა სომხეთში ადგილი ჰქონდა წვრილმან „კომუნისტურ“ ექსპერიმენტებს. მე იმედი მაქვს, შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ შევძლებთ გამოვჭედოთ ეს იარაღი, საშუალო ხაზი, და ჩვენ მოვესწრებით იმ დღეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკები უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან და შექმნიან მტკიცე საერთო პროლეტარულ ოჯახს საბჭოთა რუსეთთან ერთად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 27.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა (დებულება საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს შესახებ).

1. მთავრობის საქმეთა სამმართველო არსებობს უშუალოდ საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტთან.

2. სამმართველოს სათავეში სდგას მთავრობის საქმეთა მმართველი, რომელიც შედის რევოლ. კომიტეტის შემადგენლობაში სათათბირო ხმით.

3. მთავრობის საქმეთა სამმართველოს ევალება: ა) სრულუფლებიანი წარმომადგენლობა რევოლიუციონური კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის სახელით რესპუბლიკის ყველა უმაღლეს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა და აგრეთვე ამ უკანასკნელების ცალკე წარმომადგენლებთან ურთიერთ დამოკიდებულების დროს, ბ) განხილვა და გადაწყვეტა ყველა მიმდინარე საკითხებისა, რომელიც კი აღიძვრება როგორც ცენტრში ისე ადგილობრივად, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კანონების თანახმად და აგრეთვე სახალხო კომისარიატების განკარგულებათა მიხედვით, გ) სწრაფად და სიზუსტით შესრულება როგორც რევოლიუციონური კომიტეტის ყველა დადგენილებისა და რევკომის თავმჯდომარის ყოველი განკარგულებისა, ისე ყველა იმ საგანგებო ორგანოების განკარგულებათა და დადგენილებათა, რომელნიც შეიძლება დაარსებულ იქნენ საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტთან, დ) ინფორმაციის მიწოდება რევოლიუციონური კომიტეტისათვის ადგილობრივ საქმის მდგომარეობის შესახებ, და აგრეთვე ცნობების მიცემა საბჭოთა ძალაუფლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ცენტრში და ადგილობრივად.

4. მთავრობის საქმეთა სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებებიდან ა) სეკრეტარიატი, რომელიც შეიცავს მთავრობის სამმართველოს მთელს სამდივნო ნაწილს და აწარმოებს რევოლიუციონური კომიტეტის და მასთან არსებულ ორგანოების სხდომების ოქმებს; ხელს უწყობს სხვა და სხვა სახალხო კომისარიატებთან და ადგილობრივ რევკომებთან დამოკიდებულების საქმის მსვლელობას (იგი განაგებს აგრეთვე განკარგულებების მაგიდასაც). ბ) საერთო კანცელარია ქვეგანყოფილებებით: ა) კანცელარია, ბ) საერთო რეგისტრაცია, გ) პირადი შემადგენლობის მაგიდა და მანდატების მაგიდა, დ) ექსპედიცია, ტეხნიკური ნაწილი (მანქანები და სტამბა) ე) არქივი.

5. საიურისკონსულტო განყოფილება: წინასწარ იხილავს სხვა და სხვა კომისარიატების მიერ წარმოდგენილ ყველა კანონმდებლობითი პროექტებს და აგრეთვე თავის დასკვნას აძლევს რევოლიუციონური კომიტეტის მოღვაწეობის შინაგან წესრიგის შესახებ.

6. საინფორმაციო-სტატისტიკურ განყოფილებას ევალება შეგროვება და დამუშავება ინფორმაციული ხასიათის ყველა მასალების ადგილობრივ რევკომების და სახალხო კომისარიატების მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე ცნობის მიწოდება საბჭოთა ძალაუფლების ცენტრში და ადგილობრივ მუშაობის შესახებ, ინფორმაციული და ოფიციალური ხასიათის ცნობების, წერილების, შენიშვნების და სხვ გამოქვეყნება, როგორც რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში, ისე საზღვარგარეთ. მასვე ევალება ბეჭდვითი სათანადო ორგანოს გამოცემა. (აქ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის ბიულეტენი).

7. სამეურნეო განყოფილება შეიცავს: ა) მატერიალურ ნაწილს, ბ) სატრანსპორტო ნაწილს, გ) საფინანსო ნაწილს და დ) საკომენდანტოს.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი შ. გაბრიჩიძე.
1921 წ. ივნისის 14.
თბილისი სასახლე.

დეკრეტი № 43.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საფუთო გადასახადის გაუქმების შესახებ.

1. მოისპოს ქალაქების სასარგებლოდ დაწესებული ყოველგვარი საფუთო გადასახადი.

2. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკაში მოქმედი ყველა კანონი ქალაქთა სასარგებლოდ საფუთო გადასახადის შესახებ.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.
1921 წ. ივნისის 14.
თფილისი—სასახლე.

ახალციხეში დახვრეტილ ამხანაგების ხსოვნას

მენშევიკების ჯალათობას და ინკვიზიტორობას რომ საზღვარი არ ქონდა, ამაში ეხლა მე მგონი ურწმუნო თომანიც კი დარწმუნდნენ. მათ დროს საქართველოში არ მოიძებნებოდა ისეთი ადგილი, სადაც ხალხის საყასბო არ ყოფილიყო, სადაც საუკეთესო მებრძოლ შვილებს წუთისოფელს ასალმებდნენ, ვის არ გაუგონია ახალციხის ამბები, სადაც ერთ ღამეს 16 საუკეთესო ამხანაგს მოუსპეს სიცოცხლე 1919 წ. ეს ამხანაგები აწამეს, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ჯარში აგიტაციას ეწეოდნენ, რათა ამით თავიდან აეცილებინათ ძმათა შორის უმანკო სისხლის ღვრა, რომელიც იყო გამოწვეული ინგლისელების ორმაგი პოლიტიკის წყალობით. მენშევიკები, რომლებმაც მთელი თავისი არსებობა იმით დაამთავრეს, რომ არ დარჩა არც ერთი პატარა ერი, რომელთა შორის ეროვნული შური და მტრობა არ დაეთესნათ, როგორ დასახავდნენ ამ ამხანაგებს თუ არა სამშობლოს მოღალატეებათ, ასეც მოიქციენ და ისინი წამებულ იქმნენ მშობლების და თავიანთ ამხანაგ ჯარისკაცების თვალწინ, ჩაყარეს ერთ ღელის პირას, მიწაც არ მიაყარეს საკმაოთ და ყარაულები მიუჩინეს მათ გვამებს, რომ ახლოს არავინ მიეშვათ. თავზარდაცემული მშობლები მხოლოდ შორიდან ღვრიდენ ცხარე ცრემლებს—საფლავზედაც კი არ მიუშვეს. დახვრეტილ ამხანაგებთა შორის იყო ერთი სოფ. ტიზრელი—პავლუშა ციყელაშვილი. საბრალო მისმა მოხუცებულმა მამამ მიხეილმა ბევრი იწვალა, რომ როგორმე გამოეტანა თავის შვილის გვამი და თითონ დაემარხნა, მაგრამ ამაოდ ჩაუარა. მან მიმართა მთელი მოქმედ ჯგუფის უფროსს ახალციხეში გენერალ წულუკიძეს ნებართვისათვის, რომელმაც უშვერი სიტყვებით, ლანძღვა-გინებით, მუქარით რევოლვერით ხელში უთხრა: „მიდი შენ შვილს მიაფურთხე საფლავში და წაეთრიე აქედანო, თორემ შენც იმ დღეს დაგაყენებო“. ამის შემდეგ მოხუცმა კიდევ სცადა და მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც იმ დროს „დაჩაზე“ ბრძანდებოდა წაღვერში და რომლისგანაც პასუხათ მიიღო: „შენი შვილი ბოლშევიკი იყო, სამშობლოს მოღალატე, აჯანყებულების მეთაური და როგორც ასეთი ღირსი იყო არამც თუ დახვრეტისა, კიდევ მეტისა და თუ კიდევ გყავს ამნაირი შვილი შენ, გარიგებ შენ თვითონ ესროლო ტყვია და მოკლა“. საწყალი მოხუცი სასოწარკვეთილებას მიეცა, დაბრუნდა შინ და ყოველგვარ მწუხარებას გულში იკლავდა, ამასთან ერთად პავლუშა ციყელაშვილზე სტიროდა მთელი ქვიშხეთის საზოგადოება, რომელიც მას კარგათ იცნობდა როგორც მუშაკს, იდეურ მებრძოლს და სიმართლისათვის თავდადებულს. იგი იყო ღარიბი შვილი მუშისა, მუშის წრიდან გამოსული, შეგნებული დიდი სიმპატია და დიდი ნდობა დაიმსახურა გლეხთა წრეში, სადაც ის აწარმოებდა ჩუმ მუშაობას. ის მუდამ ებრძოდა მენშევიკებს, ვერ ურიგდებოდა მათ მუხანათურ პოლიტიკას, რომელიც უფსკრულისაკენ მიაქანებდა მშრომელ ხალხს ასეთივე საწინააღმდეგო მუშაობას ის ეწეოდა ჯარშიაც, როდესაც ის მოჰყვა მობილიზაციაში, რისთვისაც ის 15 სხვა ამხანაგებთან ერთად აწამეს. დღეს დადგა დრო, როდესაც ამ წამებულ ამხანაგების იდეამ გაიმარჯვა, ჯალათ მენშევიკების ბატონობას ბოლო მოეღო და ამ გმირებს პატივი სცეს.

ჩვენ ვკითხულობთ გაზ. „კომუნისტ“-ში ნომერ 80, რომ ეს ამხანაგები ოდესღაც უპატრონოთ მიყრილნი სადღაც ბრმა ღელის პირას, მათმა ამხანაგებმა ფართო საზოგადოების თანადასწრებით, რომელთა შორისაც ბევრი იყო მოწმეც და თვალით მნახველი ამ საზიზღარ აქტისა,—პატივი სცეს და ყველანი ერთად ღირსეულად დაასაფლავეს ძმათა სასაფლაოზე ქ. ახალციხეში.

დღეს ჩვენ ამ პატივისცემასთან ერთად უნდა ჩავძახოთ მათ საფლავში, რომ იმ იდეამ, რომელსაც მათ თავი შესწირეს, გაიმარჯვა, მათ მიერ დაღვრილმა უმანკო სისხლმა ამაოდ არ ჩაიარა და მათი სისხლით შეღებილი წითელი დროშა ხელში უჭირავთ მათ ამხანაგებს, რომლებიც მზათ არიან მათსავით თავი შესწირონ იმ დიდ საქმეს, რისთვისაც ისინი აწამეს.

საუკუნო განსვენება, ძვირფასო ამხანაგო. თქვენი სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენს შორის და ოქროს ასოებით აღიბეჭდება მშრომელთა კლასის ისტორიაში.

დ. ც—ლი.

ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტისაგან.

ც. კ. დადგენილების თანახმად, პარტიის წევრი სევასტი თალაკვაძე გადაყენებულია ყოველგვარ პარტიული და საბჭოთა მუშაობიდან ერთი თვის ვადით, პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის, რომელიც გამოიხატა ც. კომიტეტის მიმართ დაუშვებელ ფორმით მიმართვა—პროტესტში.

ც. კ. მდივანი ა. თუმანოვი.
15 ივნისი 1921 წ.

ქრონიკა

საქართველოს ს. ს. რ. რევკომში. საქართველოს ს. ს. რ. რევკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ივნისის 7 დაადგინეს, დამტკიცებულ იქნეს დებულების პროექტი სახალხო ქონებათ გამოცხადებულ ელექტრონის სადგურთა მმართველობის შესახებ.

განათლების სახალხო კომისარიატს მიმდინარე ხარჯისათვის გაეხსნა კრედიტი 500,000,000 მან. და სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის 300,000,000 მან.

სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიციის კომისრად დაინიშნა ამხ. ნადირაძე.

უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. საშა გეგეჭკორი და კოლეგიის წევრებად ამხ. ბურკაძე და ახიშკევიჩი.

◆ **ამერიკულ ძველი ტანისამოსის განაწილება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულმა ამერიკულ ძველი ტანისამოსის განაწილებელმა კომისიამ, 8 ივნისის სხდომაზე განცხადებათა მიღების და ტანისამოსის მიცემის რიგის შესახებ დაადგინა: ა) ტანისამოსი მიეცეს მუშებს მოსამსახურეებს, მოწაფეთ და სოციალ უზრუნველყოფის განყოფილების პენსიონერებს; ბ) ცალკე პირებს ტანისამოსი ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ ძლიერ უჭირთ; დაკონკილებს, გადამწვარებს, ობლებს და უძლურებს; გ) მუშებს, მოსამსახურეებს და მოწაფეებს განცხადებები შეაქვთ ადგილობრივ კომიტეტებისა და ქარხნის კომიტეტების საშუალებით პირდაპირ კომისიაში; დ) პენსიონერებს განცხადებები შეაქვთ სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების პუნქტებში, ყოველგვარი ცნობები ეძლევათ მხოლოდ სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების ორგანიზაციებისა და ორგანოების წარმომადგენლებს და არა ცალკე პირებს.

◆ **თეატრალური საქმე პროვინციაში.** სახალხო განათლების თეატრალური განყოფილება ყველგან ზომებს იღებს პროვინციაში თეატრალური საქმის გასაძლიერებლად. შეძლებისა დაგვარათ მთავრობა იძლევა თანხას თეატრის შენობის შესაკეთებლად. კერძოდ გაცემულია პატარა თანხა ახალქალაქის თეატრის შესაკეთებლად. სალარის განსაზღვრული რაოდენობის გამო თეატრის განყოფილება მოკლებულია შესაძლებლობას, რომ სათანადო [illegible] მოუჩინოს თეატრებს.

◆ **წარმოდგენები ჯარის ნაწილებში.** სათეატრო განყოფილება იღებს ზომებს ჯარის ნაწილებში სისტემატიურად წარმოდგენების გასამართავად. საორგანიზაციო საქმეები ამხ. კურბატოვს მიანდვეს.

◆ **სოციალისტ-ფედერალისტების კონფერენციის დახურვა.** თფილისში მოწვეული სოციალისტ-ფედერალისტების კონფერენცია უკვე დასრულდა.

◆ **სამხატვრო საპედაგოგიო გამოფენა.** მაისის 22 გახსნილი სამხატვრო საპედაგოგიო გამოფენა დაიხურა. გამოფენის სანახავად იყო 941 კაცი; გამოფენაზე წაკითხულ იქნა 2 მოხსენება: ხატვის სწავლება დაწყებითი სასწავლებელში და მომავალ სკოლაში ხატვითი ხელოვნების დაყენება.

◆ **კრება.** დღეს, 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენებები ტეხნიკურ თემებზე.

ზემო-ავჭალის მცირე-წლოვანთა ახალშენი

სიამოვნებით აღვნიშნავ საზოგადოების წინაშე, რომ ზემო-ავჭალის მცირეწლოვანთა ახალშენი ისევ სდგება აღორძინების გზაზე. სრული უსახსრობა და გულგრილობა, რამაც განადგურების ბეჭედი დაასვა ახალშენს მენშევიკურ ხელისუფლების დროს, დღეს თანდათან იცვლება მისდამი გულწრფელი მოპყრობით და უხვი სურსათის მიცემით; გამოცოცხლდა ახალშენი; მოწაფეენი თანდათან ძვრებიან ძველი სილატაკის ქერქიდან; მათ იგრძნეს უკვე და დაინახეს კიდეც თავის მომჭირნე მზრუნველნი; ხედავენ, რომ არავითარ ხარჯებს, საბჭოთა საქართველოს მთავრობა არ ერიდება ოღონდ აყვავდეს და რესპუბლიკის სიამაყეთ იქცეს ეს სიმპატიური დაწესებულება სადაც თავი მოუყრია უმწეო, უნუგეშო და მშობლიურ ზრუნვას მოკლებულ მცირე წლოვან ბავშვებს.

მაგონდება ამხ. ი. ცინცაძეს სიყვარულით გამთბარი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები ერთ დღეს ახალშენის დათვალიერების დროს: „ქართველებს სამშობლოსადმი სიყვარულის გამოთქმა და მისადმი ტრფიალი ყველაზე უფრო ეხერხებოდათ ყანწით ხელში უხვათ შემკულ სუფრაზე; ჩვენ ბოლშევიკებს ნაკლებ არ გვიყვარს სამშობლო და ამას საქმით უფრო ვამტკიცებთ, აიღეთ თუ გინდ აი ეს მცირეწლოვანთა ახალშენი, აქ ძლიერი ნიადაგია, რომ სამშობლოსადმი სიყვარულის უნარი გამოიჩინოს კაცმა. აღადგინეთ ეს უდაბნოს დამსგავსებული ახალშენი, გამოიჩინეთ მეტი მზრუნველობა ბავშვებისადმი, აღზარდეთ, უზრუნველყავით ისინი ყოველმხრივ, რომ ახალშენმა ნამდვილი დედის მაგიერობა გაუწიოს ქუჩის გახრწნას თავდაღწეულ ბავშვს. ეს იქნება საქმით დამტკიცება სამშობლოს სიყვარულისა.“ ნათქვამი სიტყვები ამხ. ცინცაძისა იმავე დღესვე გადავიდნენ საქმეზე. მან ინახულა ბავშვების საძინებელი ოთახები ჭუჭყიანი, დამონძილი ლოგინებით, ნახა ნახევრათ ტიტველი უფეხსაცმელო და უპერანგო ბავშვები, სასადილო ოთახი, სადაც არც ერთი ხეირიანი ჭურჭელი არ მოიპოვება, საკლასო ოთახები, განადგურებული საბავშვო ბიბლიოთეკა, გაფუჭებული წყალსადენის მანქანა, რომელიც ოდესღაც მთელი ახალშენის მამულს რწყავდა და სხვა. ამხ ცინცაძემ ინახულა ყველაფერი ეს და იმავე წამს გადაწყვიტა, რომ აქ არავითარი ყოყმანი და შეჩერება დიდი ხარჯების წინ არ შეიძლება შეადგინეთ სრული სმეტა ახალშენის ფეხზე დაყენებისათვის, მისი მოდუნებული ძარღვების ასამუშავებლად და ყველაფერს მიიღებთო.

სმეტა დაუყონებლივ იქნა წარდგენილი. ახალშენის დასათვალიერებლათ ხელმეორედ მოდის ინჟინრების თანხლებით სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. ბებურიშვილი, რომელსაც მინდობილი აქვს ახალშენის მოწყობა-შეკეთება. სცდილობს რაც შეიძლება მალე აღადგინოს ყველაფერი, მალე, ორ სამ დღეში უნდა ამოძრავდეს აქ ყველა ფერი, რადაც უნდა დაგვიჯდესო, სთქვა ამხ. ბებურიშვილმა. პირველ რიგში მან უკვე დაიწყო მუშაობა წყალსადენზე, ამის შემდეგ რიგში სდგას ელექტრონის სადგურის მოწყობა, წისქვილი, სახერხავი მანქანა და შეძენა იმ ინვენტარისა, რომელიც უსაჭიროეს საგანს შეადგენს ახალშენის სახელოსნოებისათვის, საკლასო, საძინებელ და სასადილო ოთახებისათვის, ბიბლიოთეკის შევსება, სამზარეულოს გადაკეთება, შეკეთება და სხვ. ინვენტარის შეძენაში ამხ. ბებურიშვილს სახეში აქვს პირველათ ბავშვების ლოგინების გაახლება თეთრეულების, საბნების, ლეიბების, სატანსაცმელო და საფეხსაცმელო საკმაო მასალების შეძენით.

ასეთმა ყურადღებამ მთავრობის მხრით და სიტყვიდან მალე საქმეზე გადასვლამ სიცოცხლე ჩაუნერგა ახალშენის ადმინისტრაციას. თითეული მოსამსახურის მოდუნებულმა ენერგიამ გაიღვიძა, სა-

სოფლებმა გაშალა ფრთები და ყველაფერი გულმოდგინეთ კეთდება, რაც კი უწყობს ხელს ბავშვების აღზრდა განვითარებას გონებრივად და ფიზიკურად.

გარდა ამისა ახალშენის გაცივებულმა სათეატრო დარბაზმაც. კვირას, 15 მაისს, ადგილის სცენის მოყვარეთა მონაწილეობით მოეწყო პირველი წარმოდგენა, რომელმაც საკმაოდ კარგად ჩაიარა.

გვაქვს ცქერი ლორძინებულ ახალშენის და დიდებულ მომავლის სურათს და მინდა ვირწმუნო, რომ მზრუნველი ხელი საბჭოთა საქართველოს მთავრობის შექმნის მისგან რესპუბლიკის ცენტრალურ ბავშვთა თავშესაფარს და მიმართავს მასკენ შესაძლებელ ძალას, რომ საუცხოვოთ მოეწყოს იგი. იურიდიული და ზნეობრივი ვალი მოითხოვს სახელმწიფოსაგან მოაშოროს მცირეწლოვან ახალგაზრდობას ის უკუღმართი სოციალური პირობები, რომელნიც ჯანსაღი ელემენტის ნაცვლად აძლევს მას სრულებით გახრწნილს, მავნე და უსარგებლო დამნაშავეთა მექანარებს.

ა. ქელენჯერიძე.

პროფესიონალურ კავშირებში

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ადგილობრივ კომიტეტების შემდგარ სხდომაზე ამორჩეულია კომისია თეატრების მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვისა და მათი ნორმის დებულების გამოსამუშავებლათ.

სამშენებლო მუშების კავშირში.

კავშირის წევრთა ახალ რეგისტრაციის შესახებ დანიშნულია კომისია ამხ. მარტიროსოვის, ალადასა და ალექსანდროვის შემადგენლობით.

გამგეობამ დაადგინა გამგეობის წევრად შეიყვანოს ერთი წარმომადგენელი შარა გზაზე მომუშავეთაგან გადამწყვეტ ხმის უფლებით. იმავე სხდომაზე საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას დაევალა ადგილობრივ კომიტეტის მოწყობა.

მკვებავთა კავშირში.

მაისის 8-ს მკვებავთა კავშირის სხდომაზე არჩეულნი არიან საქართველოს პროფკავშირთა საზოგადო საქალაქო კონფერენციაზე შემდეგი წარმომადგენლები: ამხ. გურული ს., სეროფიონი ხ., ქანტურია ნ., კალანდაძე კ., არჩვაძე გ., ტკაჩენკო გ.

ფეიქართა პროფკავშირში.

კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა, მიწათ-მოქმედების სასოფლო-მეურნეობის განყოფილების შინა-მრეწველობის ქვეგანყოფილებასთან მოაწყოს კოლეგიალური სამართველო, რომელშიც შევლენ: ერთი—მიწათ-მოქმედების კომისარის მიერ დანიშნული, მეორე—პროფკავშირების ქვეგანყოფილების მუშაკთაგან, მესამე—განყოფილების მუშაკთაგან.

ფეიქართა კავშირის წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია გაგრძელდება ივნისის 15-დის, რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ: 1. მუშები იმ წარმოებათა, სადაც 5 კაცზე მეტი მუშაობს, უნდა აღრიცხულ იქმნან საქარხნო კომიტეტის ან და კავშირის თანამშრომელთა მიერ, 2. ცალკე მუშა უმუშევარი და წვრილ წარმოების მუშები—ხუთი მუშა—რეგისტრაციისათვის უნდა გამოცხადნენ კავშირში—მუშათა სასახლე ოთახი № 21 დილით: ყოველ დღე დილის 9—11 საათამდის და ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 საათამდე. რეგისტრაციის დროს სავალდებულოა საწევრო ბარათის წარდგენა, უმუშევართათვის კი შრომის ბირჟის ბარათი ც სამუშაო ძალის აღრიცხვის შესახებ. კავშირის წევრები, რომლებიც დანიშნულ ვადამდის არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოდ კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან.

პროფკავშირები ხაშურში.

ხაშურში პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ინსტრუქტორმა ამხ. ჩისტაკოვმა დაარსა 3 კავშირი. საბჭოთა მუშებისა, კომუნალური მეურნეობისა და რკინის გზელთა. ამასთან ერთად დაარსებულია ორი სექცია—განათლების სახალხო კავშირისა და სოციალისტური კულტურისა. საბჭოთა მუშების კავშირის მიერ ამორჩეულია ადგილობრივი კომიტეტები. კავშირის გამგეობაში შევიდნენ: ამხ. ცხოვრებაშვილი, ამხ. ელიაშვილი და ამხ. ჯანჯღავა. მაისის 31 შესდგა კონფერენცია კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი კომიტეტებისა, რომელზედაც მოხდა გამგეობის წევრთა არჩევნები. ამორჩეულ იქნენ ამხ. ფალიაშვილი, არუთინოვი, წიქლაშვილი. რკინის გზელთა კავშირში 1200 წევრზე მეტი ირიცხება, ამორჩეული არიან ქარხნის ადგილობრივი კომიტეტები, ივნისის 1 შესდგა კონფერენცია, რომელზედაც ამოირჩიეს გამგეობა.

კავშირების ორგანიზაციის შემდეგ ამხ. ჩისტაკოვმა მოიწვია ქალაქის კონფერენცია, რომელსაც კავშირთა, სექციათა და ჯანმრთელობის განყოფილებების წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციაზე ამოირჩიეს სამაზრო პროფესიონალური ბიუროს დროებითი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ქურიძე, კვიცინსკი, მამაცაშვილი, ფალიაშვილი, ჯაოშვილი, შუბითიძე და ჩახნაშვილი. ამავე კონფერენციაზე ამოირჩიეს წარმომადგენლები საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ყრილობაზე გასაგზავნათ.

გორი. ივნისის 5 ს შესდგა გორის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინსტრუქტორმა ამხ. ჩისტაკოვმა გააკეთა მოხსენება პროფესიონალურ კავშირთა მონაწილეობის შესახებ საბჭოების აღმშენებლობაში. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი იწონებს საბჭოთა ხელისუფლების სისტემას და მისალმება გაუგზავნეს მოწინავე მუშაკებს ამხ. მახარაძეს, ცხაკაიას და ჯუღაშვილს.

სიღნაღი. მაისის 29 შესდგა სიღნაღის მაზრის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობა, ამ ყრილობაზე მიიღეს მისალმება დეპეშა საქართველოს პროფესიონალური საბჭოსადმი, რომელშიც ყრილობა უსურვებს პროფკავშირთა საბჭოს მტკიცე და ენერგიულ მოქმედებას მუშა მოსამსახურეთა მატერიალურ გაუმჯობესების საქმეში.

ყვირილა. ქალაქ ზესტაფონში მოწვეულმა მუშა-მოსამსახურეთა კრებამ აირჩია დღეიდან სამაზრო ბიურო 7 კაცისაგან შემდგარი.

ჭიათურა. ჭიათურაში წინაწარი მუშაობა აწარმოებელ კავშირთა ორგანიზაციის საქმეში შეასრულა პარტიულმა და რევოლიუციონურმა კომიტეტმა. დაარსებულია სამი კავშირი. სამთამადნო მრეწველობის, საბჭოთა და კერძო წვრილ წარმოების მუშებისა.

პროვინციაში

ხმა სამტრედიიდან.

ძველათ მენშევიკების დროს ჩვენი პარტია არა ლეგალურ პირობებში იყო მას სდევნიდენ იმიტომ, რომ ის სიმართლეს ამბობდა, წინ იცქირებოდა, მოღალატეობას ამჟღავნებდა, ეს არ მოსწონდათ მაშინდელ ხელმძღვანელებს და გასაქანს არ აძლევდენ კომუნისტებს— ამის მაგალითი ბევრია, მხოლოდ მე მოვიყვან ერთს, რომელიც შეეხება სათეატრო საქმეს სამტრედიაში და მას რაიონში, 1918 წელში სამტრედიაში დაიბადათ აზრათ—პროლეტარული დასის შედგენა, სახელწოდებით „დემოსი". მისი ინიციატორი იყო მსახ. დ. კობახიძე, მან მოიწვია საუკეთესო ძალები ამხ. რ. კალაძე, გიდი მაცვანაძე, ერთაწმინდელი, მოუყარა თავი ადგილობრივ—პროლეტარულ ძალებს, რომლებსაც შეეძლოთ სათეატრო სამსახური და შეუდგენ მოქმედებას... დაიწყეს სოფლებში წარმოდგენების მართვა, ლექციების კითხვა და სხვა, მიზანი იმისი დიდი იყო: გათვითცნობიერება მშრომელი ხალხისა, გონებრივი აღზრდა—ჩამორჩენილ მასსებისა და ჩვენც დარწმუნებული ვიყავით მის კარგს მომავალში, მაგრამ მაშინდელ მთავრობას ეს არ დაემალა, მან დაინახა „დემოსში" მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება და დაშალა ის, მას ნება არ დართეს ევლოთ სოფლებში... ასე ამრიგათ მის შემდეგ ჩვენი სოფლები მოკლებულნი იყვნენ მოესმინათ მართალი აზრი, დამტკბარიყვნენ პროლეტარული ხელოვნებით... მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო და დღეს საქართველოს ხალხს საშუალება მიეცა თავისუფალ აზროვნებისა, თავისუფალ მოქმედებისა... სამტრედიაში კვლავ დაიბადა ის აზრი, სამ ეხლა მეტათ საჭიროა პროლეტარული დასების შედგენა, მით უმეტეს დღეს ბევრი სასამუშაო გვაქვს რადგან ჩვენი სოფლები ბნელში არიან (მოღალატეების მიერ) გახვეულნი და ერთს გზაზე ვერ დამდგარან. ინიციატორთა ჯგუფმა მოიწვია კრება 7 ივნისს რევკომის ირგვლივ დაწესებულებების მოსამსახურეთა, რომლებსაც უთამაშნიათ სცენაზე ან სურვილი განაცხადეს, თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. ახობაძე. მდივ. სამ. კაკაჩიაშვილი, მოხსენება გააკეთა ახლათ მოწვეულმა რეჟისორმა ამხ. მიქელაძემ, რომელმაც ახსნა-განმარტა პროლეტარული დასის მომავალი მუშაობის გეგმები, კრებამ აირჩია დრამატიული წრის გამგეობა სამი პირისაგან: შ. ნუცუბიძე, შუშანია, რუხაძე და სამ. კაკაჩიაშვილი. ვუსურვებთ ამ ახლათ დაარსებულ პროლეტარულ დასს წინ-სვლას ეკლიან გზაზე და მისი მიზნების სავსებით მიღწევას.

სან—კანი.

სოფ. შუხუთი

შუხუთის თემი გურიაში ერთი პატარა თემთაგანია. მაგრამ მიუხედავად თავისი სიპატარავისა, მიუხედავად თავისი მცხოვრებთა რიცხვის სიმცირისა, ამ თემს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მთელ გურიაში თავისი კულტურული განვითარებით. რას უნდა მივაწეროთ ეს?

უმთავრესად ეს არის ნაყოფი ადგილობრივი ინტელიგენტური ძალების მოქმედების, მათი ამოძრავების და შრომის.

აქ არ არის ისეთი ინტელიგენტი, რომ ის უქმად იჯდეს, რაიმეს არ ჰქონდეს, არ ცდილობდეს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო აღმშენლობითი საქმეში, რომ არ სცდილობდეს რაიმე შესძინოს, რაიმე გააკეთოს იმ ხალხის სასარგებლოდ, რომელმაც ის წარმოშვა.

ზოგი უძღვება სამკითხველოს, ზოგი სახალხო სახლს, სხვები მუშაობენ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრეში, ზოგი კიდევ მეთაურობენ საკვირაო სკოლის გახსნას და სხვა, იმართება წარმოდგენები, იკითხება ლექციები უფასოდ, ხალხიც დიდის ხალისით, დიდის ყურადღებით ეპყრობა ამ საქმეს.

ა. ბ.

ქ. ოზურგეთი (გურია).

გურიაში პროფკავშირთა სეკრეტარიატი უკვე შეუდგა კავშირების დაარსებას, მისი ინიციატივით 23 აპრილს 1921 წ. ქ. ოზურგეთში, შესდგა გურიის ტექნიკურ ძალთა საზოგადო კრება, ამხ. ნესტორ კეჭელმაძის თავმჯდომარეობით და გრიგოლ დუმბაძის მდივნობით.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები:

1) საორგანიზაციო კომისიის მოხსენება,

2) კავშირის წესდების ყრილობის მიერ გადაშინჯვა და დამტკიცება;

3) პროფ. კავშ. კომიტეტის არჩევა;

4) საკონფლიქტო კომისიის არჩევა;

5) სარევიზიო კომისიის არჩევა;

6) ტექნიკურ საბჭოს და მისი თავმჯდომარის არჩევა.

1) საორგანიზაციო კომისიის მოხსენებით წესდების შედგენის შესახებ კომისიამ აიღო ძირითად დებულებად საბჭოთა რუსეთის ზოგიერთი პროფკავშირის ზოგადი დებულებანი. კომ. მოხსენების შემდეგ მოკლეთ მიესალმა კრებას შრომის კომისარი თ. დოლიძემ.

2) კავშირის წესდება მუხლობრივ იქნა წაკითხული. დებულების განხილვის შემდეგ ყრილობამ წესდება დაამტკიცა. მხოლოდ ყრილობამ მიიღო მხედველობაში, რომ ცენტრში დაარსდება პროფ კავშირი და წესდება იქნება შემუშავებული საერთოთ, რის შემდეგ კომიტეტს ნება ეძლევა იმუშაოს წესდების მიხედვით.

3) კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ვალერ. ჩხოვი, 2) თეოფილე ერქომაიშვილი, 3) ვარ. თელია, 4) კალ. ჯინჭარაძე, 5) ვასო კვაჭანტირაძე, კანდიდატებათ თ. ბოლქვაძე და ვანო ქადეიშვილი.

4) საკონფლიქტო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) რ. მუჯირი, 2) იოს. ბაკურია 3) თ. ბოლქვაძე.

5) სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) ნ. კეჭეჭაძე, 2) გ. დუმბაძე, 3) ს. მიქატაძე.

6) ტექნიკურ საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნენ: 1) ინჟ. კუზნეცოვი, 2) ინჟ. ჩხოვი, 3) ინჟ. კენცი.

30 მაისს შესდგა ოზურ. სამაზრო რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. ნიკოლაიშვილი (ფედერალ.), მდივნათ ან. თიკანაძე (კომუნისტი).

დღის წესრიგი: 1) პროფკავშირების მუშაობა და როლი საბჭოთა სახელმწიფოსთვის.

2) კავშირის კომიტეტის არჩევა. (გამგეობა).

1) პირველ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ქურიძემ, რომელმაც ისტორიულათ დაასურათა პროფკავშირის მნიშვნელობა და როლი ბურჟუაზიულ წყობილების და საბჭოთა ხელისუფლების დროს.

2) მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა კომიტეტი (გამგეობა) შემდეგი შემადგენლობით:

1) დ. ნიკოლაიშვილი (ფარმაცევტი), ფედერალისტი.

2) ან. თიკანაძე (ფარმაცევტი), კომუნისტი.

3) ალ. ასათიანი (ექიმი), ფედერალისტი.

4) ჯანელიძე (ფერშალი), კომუნისტი.

5) კობახიძე (სათნოების და) კომუნისტკა.

ყარაზოლელი.

26 მაისის დღესასწაული ქ. გორში.

26 მაისი არ ეკუთნოდა მენშევიკებს და ბურჟუაზიას და მან ჰპოვა გამოძახილი მხოლოდ მშრომელთა, მუშათა კლასში. 26 მაისი ემბლემაა პროლეტარიატის განთავისუფლების და დამოუკიდებლობისა კაპიტალისტებისა და მათი ლაშქარ მენშევიკებსაგან და ამიტომ ქ. გორის და მისი რაიონის მუშათა კლასმა დროშებით გულწრფელად იდღესასწაულა ეს დღე. ქ. გორი მშვენივრათ იყო მორთული: ყველა სახლსა და დაწესებულებებზე აფრიალებული იყო მუშათა კლასის სისხლში შეღებილი წითელი დროშები. პროცესია დაიწყო დილის 11 საათზე. სადგურის მუშები, სამხერხაოს ქარხნის მუშებთან ერთათ მუსიკით და წითელი დროშებით გამოვიდნენ ქალაქში და შეუერთდნენ კ. პ. გორის მაზრის კომიტეტის ბინის წინ მოგროვილ ხალხს. პროცესიას წინ მიუძღოდნენ კ. პ. წევრები, უკან მათ მისდევდათ მუსიკა. ახალგაზრდა კომუნისტები თოფებით, წითელ არმიელები, მუშები და მერმე მოქალაქენი.

საერთო სიხარულს გვრიდა ხალხს მორთული ურმები: პირველი ცელებით და ნამგლებით. მეორე ურემზე იყო გამართული სამჭედლო და მას უკან მიჰყვებოდა რკინის გუთნის იდეა. პირველად პროცესია შეჩერდა მუშათა კლუბის წინ, სადაც იყო წარმოთქმული კომ. პარტიის გორის კომიტეტის სახელით სიტყვა ამხ. ნადირაძისა. შემდეგ პროცესია გაემგზავრა გარიოთუბანში; აქ გაიმართა მიტინგი. აქედგან პროცესია დაიძრა სემინარიის ქუჩაზე წითელ მოედნისაკენ სადაც გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. პროცესია დაიშალა 5 საათზე. დამახასიათებელი ამ დღესასწაულში სხვა უქმეებთან შედარებით ის იყო რომ უბრალოთ შეხვდა მას ხალხი. ორატორები არ აწუხებდნენ მოქალაქეებს გრძელი სიტყვებით, მოკლეთ და მკაფიოთ ხალხური ენით გადასცეს მოქალაქეებს განსხვავება ამ დღესასწაულის მენშევიკების მიერ მოწყობილ დღესასწაულთან, მშრომელი ხალხი გულდასმით უსმენდა ყველაფერ ამას. უფრო ლამაზი იყო საღამო. ბევრ ადგილას იყო გამართული ელექტრონის ლამპებით მორთული არკები. სახალხო სახლში გაიმართა მიტინგი საღამო, მუშათა კლუბში კონცერტი. ჩვენი 26 მაისი არ აგონებდა მოქალაქეთ მენშევიკების ბანკეტებს და ზეიმობას. მუშათა კლასის ზიზღით იგონებდა მათ. ქ. გორის და მისი რაიონის მუშებმა და გლეხებმა მრავალ რიცხოვან მიტინგზე, მოისმინეს რა ამხანაგების სიტყვები, მიულოცეს საბჭოთა საქართველოს მშრომელ ხალხს სამშობლოს დამოუკიდებლობა და დასდევს ფიცი არ დაუშვან დაბლა კომუნისტური წითელი დროშა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ქ. შ.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, [illegible] ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible], კახეთის მოედანი. 5—5[illegible]

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. [illegible]

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ [illegible] კავშირის [illegible]—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პროფესიონალური

დღეს, 16 ივნისს, ნაშუადღევს ოთხ საათზე მუშათა სასახლეში, (მე 3 სართულში ოთახი № 28); დანიშნულია, სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირების ყველა კულტ იაჩეიკების, კრება ყველას დასწრება აუცილებელია

სხვა და სხვა

— სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებაში საჭიროა მდივანი და ორი საქმის მწარმოებელი. მსურველნი უნდა გამოცხადდენ სახალხო განათლების კომისარიატში, (ლორის მელიქოვის ქ. ქალთა 1 გიმნაზია) სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებაში.

— თბილისის მაზრის რევკომი ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებისათვის „ზმაჩ" საჭიროა მდივანი.

მსურველებს, რომლებმაც იციან ქართული ენა, შეუძლიათ მიმართონ თხოვნით და წარმოადგინონ სათანადო საბუთები თბილისის მაზრის რევკომის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში „ზმაჩ".

—ოზურგეთის მაზრის მილიციის შტაბი ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 20 რიცხვს აკეთის თემის რევკომის თავმჯდომარეს დაეკარგა სახელმწიფო ბეჭედი, მპოვნელს სთხოვენ ასეთი გადმოგზავნოს ოზურგეთის მილიციის შტაბში.

მაზრის მილიციის უფროსი. (ხელმოწერილია)

— დავკარგე დროებით პარტიულ მოწმობა 101 ნომერი, მოცემული რაიონის სარეგისტრაციო კომისიისაგან ჩაითვალოს გაუქმებულათ.

სოფიო თალაქვაძე

ს. კ. პ. ტ. კ. ამით აცნობებს თ. კ. წევრებს

რომ ხუთშაბათს, 16 ივნისს ა. წ. საათზე საღამოს 7 თ. კ. შენობაში დანიშნული პლენუმის სხდომა.

ქალაქის რევკომის პრეზიდიუმთან პროფკავშირს კომუნალურ მეურნეობის და საბინაო განყოფილების წარმომადგენლებთან ერთათ.

დასწრება ყველა ამხანაგებისა აუცილებელია.

თ. კ. მდივანი ლ. ღოღობერიძე.

ინტერნაციონალური პროლეტარული საღამო

პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობის სააგიტაციო განყოფილება პარ სკევს, 17 ივნისს სა ოპერო თეატრში გამართავს ინტერნაციონალურ—პროლეტ რულ საღამოს, კომუნისტურ პარტიის წევრების და პროფესიონალურ კავშირებ კონფერენციის დელეგატების და წევრებისათვის.

მცველ-მხლებელთა რაზმი

სახალხო იუსტიციის კომისარიატის დასჯ.-გასწორების განყოფილებასთან შეს გა მცველ მხლებელთა რაზმი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს პატიმრობ ების დაცვა და პატიმართა მხლებლობაი. რაზმში მიიღებიან ჯარში ნამსახური პირ ნი, რომელნიც ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებულნი არიან. ჩაწერა და პი რობების გაგება შეიძლება რაზმის უფროსობრივ კუნდში (ავლაბარი კახეთის ქუ № 6). გუნდის უფროსს გვაზერიძესთან.

16 ივნისიდან 23 ივნისამდე

სახელმწიფო საოპერო თეატრში იღებენ ჩასაწერად მსურველთ, მომღერა გუნდში ან ბალეტში შესასვლელად

მიღება იქნება კონკურსით, კონკურსის დღე ცალკე გამოცხადდება

ჩაწერა შეიძლება მსურველებისა საოპერო თეატრის კანტორაში ყოველ დღ ორშაბათის გარდა, 12 საათიდან 2 საათამდე თეატრის [illegible] თანაშემწესთან.

სახელმწიფო საოპერო თეატრის გამგე (ხელმოწერილია)

სახალხო განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს, თბილისში მყოფ იმ მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომლითაც უმუშევრიათ ან მუშაობენ ბავშთა თავშესაფარებში საბავშვო მოედნებზე და სა ბავშო ბაღებში, ან აქვთ საამისოდ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, გამოცხადდნენ სახალხო განათლების კომისარიატში (ლორის მელიქოვის ქ. ქალთა 1-ლი გიმნაზია) საერთო რეგისტრაციისთვის, სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებაში სამუშაოდ ჩაწერა დაიწყება ხუთშაბათს, 16 ივნისს. პირველი კრება ყველა ზემოდასახელებულ მასწავლებელთა შესდგება 20 ივნისს, ორშაბათს საღამოს 6 საათზე.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

სეიფების გახსნა

ქალაქ თბილისის ყველა ბანკების კომისარი აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირებს, რომ 13 ივნისს იწყებს თავის მოქმედებას კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სეიფების გახსნა ვოლგა-კამის კომერციულ ბანკში ეს მუშაობა იწარმოებს ორშაბათობით და სამშაბათობით, თბილისის საურთიერთო ნდობის პირველ საზოგადოებაში. იგივე კომისია დაიწყებს მუშაობას 17 ივნისიდან იმავე საათებში, პარასკეობით და შაბათობით.

საჭიროა სახალხო მოსამართლენი

ვისაც სურთ იქმნენ არჩეულნი სახალხო მოსამართლეთ დუშეთის მაზრაში, უნდა მიმართონ ამაზედ განცხადებით დუშეთის სამაზრო რევკომთან არსებულ იუსტიციის განყოფილებას.

დუშეთის სამაზრო რევკომის იუსტიციის განყოფილება.

ტირაჟი 5000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კონსტანტინეს ქ. № 4